# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 95 პარასკევი, 1 მაისი 1909 წ. № 95

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილის გარეთ ღირს 1 მან., ხოლო ხნვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



დეკანოზი დავით ბარნაბოვი, ქეთევან მოსეს ასული ბარნაბოვისა ნინა დავითის ასული ნეიმანი, ზინობია დავითის ასული რაბუტოვსკაია, ევლიტა, ევდოკია, მიხეილ და ვლადიმერ ბარნაბოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ და საყვარელ სიდედრის, მეორე—ძვირფას დედის და უკანასკნელნი—დაუვიწყარ დიდედის მღვდლის ქვრივის

### პელაგია სტეფან ასულის ტატუმამისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, ნაშუადღევის პირველ საათსა და საღამოს 7 საათზე. ცხედრის გამოსვენება შაბათს, 2 მაისს, დილის 9 საათზე მიცვალებულის სახლიდან (ორბელიანის ქუჩა № 16) ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო იქიდან კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—233—1)

### კვირას 3 მაისს მუშტაიდის ბაღში

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

### დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია

ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია

ლატარიაში, სხვათა შორის, ჩაგდებულია: საავარაკო მიწა სადგურ სუმბათოვოსთან 300 ოთხ. საჟ., ძვირფასი მხატვრული ხარაჩ (შემოწ. კნ. ელის. მუხრან-ბატონისა), სრული სერვიზი ფაიფურისა (შემ. კნ. იულია თუმანიშვილისა), ძროხა, ვერცხლის ნივთები და სხვ.

**დილით** 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის გაიმართება

**განსაკუთრებული სეირნობა**

**ბავშვებისათვის**

მრავალის სხვა და სხვა გასართობით: კარუსელი.—სირბილი.—ბურთაობა.—ნიშანში სროლა.—ბოძზე აცოცება.—გადახტომა.—გაჯიბრება საჩუქრებით.—საჩუქარი საუკეთესო ეროვნულ ტანისამოსისთვის მუსიკა.

**საღამოს** 4 საათიდან 11 საათამდის

**დიდი სეირნობა და ლატარია**

დოღი. მკითხაობა. ფოსტა.—კონფეტტი.—ყვავილების ბრძოლა.—პროექტორი გარეთ ეკრანზე.

ორი ორკესტრი სამხედრო მუსიკისა.—საზანდარი.—მესტვირე.

ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ბავშვებისთვის 10 კაპ. ლატარიის ბილეთი 50 კაპ. (0—უ.—4)

### არტისტიულ საზოგადოების თეატრი **წარმოდგენა № 15.**

პარასკევს, 1 მაისს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტი

**ტასო აბაშიძის საბენეფისოდ**

### რაინდი უშიშარი და გულმართალი

ოპერეტი 2 მოქმ. მუზ. ლეკოკისა თარგ. ვ. აბაშიძისა,

### ნ-ა-ტ-ვ-რ-ი-ს თ-ვ-ა-ლ-ი

(Mascotte).

ოპერეტი კომ. 3 მოქმედ. მუზ. ედუარდ ოდრონისა თარ. ახნაზაროვისა.

მონაწილ. მიიღებს მთელი დასი **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

დირიჟორი **პოლ. ფალიაშვილი.**

### ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

შაბათს, 2 მაისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

### პედაგოგები

კომედია 3 მოქმედ. ოტტო ერნსტისა, თარგმანი დ. ნახუცრიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ამირაჯიბი, გოგოლაშვილი, მესხიშვილი და თამარაშვილი; ბ-ნნი: გოცირიძე, ადამიძე, მეტრეველი, ნარი, ბაქრაძე, ზურაბიშვილი, ხვიჩინიძე, პეპანოვი, ინაშვილი და ერისთავი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ბილეთები გაიყიდება ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრის კასსაში ყოველ-დღე:—დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 საათზე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 10 მაისს.

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის** ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში მოყვანა სრულებით აღკრძალულია.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.** (3—უ—2)

**გაიხსნა ამა წლის 1-ლ მაისს** ხელ-ახლა შეკეთებული, მოწყობილი და განათებული რესტორანი და

### ბაღი „პალერმო“

სამზარეულო ცნობილ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ არის; ყოველ დღე უკრავს სიმებიანი სიმფონიური ორკესტრი, სადილის დროს 1-დან 4 საათამდე და საღამოთი 7-დან 1 საათამდე. სადილები და ვახშმები ძალიან იაფად. რესტორანთან არის კაბინეტები.

რესტორანი ღიაა ნაშუალამევის 2 ს. მიხეილის პრ., 147. (3—236—1)

### ამხ. „სორაპანის“ გამოცემა

ქართველი და უცხოელი მწერლები

### „ახალი ჩანგი“

„სცენები. ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, რომანსები და დრამატიული ნაწარმოებნი საუკეთესო მწერლებისა“.

მიიღება ხელის მოწერა ტფილისში: წიგნის მაღაზია წერა კითხვის საზოგადოებისა, „რეხის“ კიკნაძისა სახაზინო თეატრის პირდაპირ. „ალიონისა“ კიროჩნი ქუჩაზე. პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტთან.

**ხელის მოწერა დაიწყება 30 აპრილს და გათავდება 20 მაისს**—შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. **ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება (200 გვ.) 25 კაპ.** წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. გამოწერა წიგნისა შეიძლება მარკებითაც, გაგზავნიანა ეღირება 37 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“, М. Гачечиладзе.

**დაბეჭდილი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერთ 20 ივნის.** (10—ნ.—2)

### მიიღება ხელის მოწერა

### დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ აპრილსა და აგრეთვე მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (12—უ.—9)

### THE ROYAL VIO

TRADE MARK

### ნიკიტინის ცირკის შენობაში

### ყოველ დღე წარმოდგენები

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

მე-9 სერია **ახალი პროგრამა** მე-9 სერია

ფასები დაკლებულია:

### 2 სული შედის ერთი ბილეთით.

(1—ნ.—1)

**ოთხშაბათს, 6 მაისს,**

გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილების სახლში, სამხატვრო სკოლის სადგომში გაიხსნება მოსკოვის ცნობილ მხატვართა

### სურათების გამოფენა

მონაწ. ღებულობენ: ს. ივანოვი, ა. ვასნეცოვი, ლ. პასტერნაკი, კ. იუონი, კ. კოროვინი, ს. ჟუკოვსკი და სხვანი.

გამოფენა გაიხსნება დილის 10 ს. და ღია იქნება საღამოს 6 ს. შესვლის ფასი გამოფენის პირველ დღეს 1 მან. დანარჩენ დღეებში მოზრდილთათვის 25 კ. მოწაფეებისა, ბავშვების და სალდათებისთვის 10 კ. (4—ნ.—1)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან ხნეულ[illegible] ავადმყოფებს დილით 7—9 ს., ს[illegible] 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახ[illegible] სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 53)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—67)

**ექიმი კ. თ. ტუღუშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—117)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—113)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—136)

**ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ქართველთა ამხანაგობის სტამბის**

### ცინკოგრაფიამ,

რომელიც დროებით დახურული იყო, **კვლავ განაახლა მუშაობა** და ძველებურად ასრულებს ყოველ გვარ ცინკოგრაფიულ კლიშეების დამზადებას. (3—ნ.—2)

**სტუდენტი-რეპეტიტორი** ხელ-მისაწვდენ ფასად ასწავლის და ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის. იკითხეთ რედაქცია „დროება“. (1)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

### კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—50)


## ტფილისი, 1 მაისი

ამას წინად შემარჯვენეთა მხნე იერიშზე ვწერდით და ვამბობდით, რომ მოკლე ხანში პოლიტიკური მდგომარეობა გამოირკვევაო: სტოლიპინი იძულებული იქნება სამსახურიდან გადადგეს, შესდგება მემარჯვენე კაბინეტი და ამასთან ერთად ოქტომბრისტების პარტიაც გაიყოფა, სახელდობრ—მისი მემარჯვენე ფლანგი შეუერთდება ზომიერ მემარჯვენეთ და სათათბიროში ახალი ხელმძღვანელი ცენტრი გაჩნდება. მას შემდეგ, რაც ჩვენ ამასა ვწერდით, გუშინდლამდე ყოველი ახალი ცნობა პეტერბურგიდან გვიმტკიცებდა, რომ საქმე სწორედ ასე უნდა გათავებულიყო. რეაქციონერთა იერიში არა თუ არ შესუსტებულა, გაძლიერდა კიდეც. გაზეთები წინასწარმეტყველობდნენ სტოლიპინის გადადგომას, მარკოვ მეორე გახარებული და დაიმედებული დაბრუნდა ცარსკოე სელოდან, სათათბიროშიაც ორმა კენჭის ყრამ გამოაშკარავა ოქტომბრისტების გაყოფა: საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროსა და კოლიუბაკინის გამორიცხვის დროს ერთი ნაწილი ოქტომბრისტებისა ოპპოზიციასთან იყო, მეორე კი მემარჯვენეთ შეუერთდა და მასთან ერთად შეადგინა უმრავლესობა.

საქმე უნდა გადაეწყვიტა საზღვაო მთავარ შტაბის შტატების შესახებ ცნობილს საკითხს, რომლიდანაც დაიწყო რეაქციონერთა იერიში. ეს შტატები თვით მთავრობამ შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარუდგინა ჯერ სათათბიროს, მერე საბჭოს. მემარჯვენეებმა ისარგებლეს შემთხვევით და განაცხადეს, რომ სამხედრო და საზღვაო მთავარ შტატების ბიუჯეტის საქმეში გარევა ნიშნავს ხელმწიფის უფლების შელახვას და საკანონმდებლო დაწესებულებათა როლის გაზვიადება-გადაჭარბებასაო. მაგრამ მემარჯვენეთა განგაშმა ვერ გასჭრა ვერც სათათბიროში, ვერც საბჭოში: მთავრობის მიერ წარდგენილი პროექტი მიღებულ იქმნა ორივე პალატაში და ხელმწიფეს წარედგინა დასადასტურებლად. მაშინ რეაქციონერებმა მიჰმართეს პარლამენტის გარეშე მუშაობასა და, წათამამებულნი სტოლიპინის ავადმყოფობით, მედგარი ბრძოლა ალმართეს კაბინეტის წინააღმდეგ. რომ მათი იერიში მარჯვედ მიდიოდა, ეს ოქტომარისტების დეკლარაციამაც დაამტკიცა: შეშინებული კომიტეტი პარტიისა თვითონვე აღიარებდა, რომ ფეხქვეშიდან ნიადაგი გვეცლებაო. მეორეს მხრით, თვით სტოლიპინის მომხრეენი არა ჰფარავდნენ, რომ საზღვაო შტაბის საკითხი სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია კაბინეტისათვის, რომ, თუ პროექტი არ დამტკიცდა, კაბინეტი ამას აღიარებს მისდამი უნდობლობის გამოცხადებად და პოზიციას უკიდურეს რეაქციონერთ დაუთმობსო.

რეაქციონერთა საწადელიც აღსრულდა: გუშინწინ სახ. საბჭოში თავმჯდომარემ განაცხადა, ხელმწიფე იმპერატორმა შტატების პროექტი არ დაამტკიცაო. მაგრამ უკიდურესთა სიხარულიც არა სრული გამოდგა: იმავე დროს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ხელმწიფე ნდობას უცხადებს სტოლიპინს და უბრძანებს მას—სამხედრო და საზღვაო მინისტრებთან ერთად განსაზღვროს რა და რა საკითხი შეადგენს სადაო საქმეში მონარქის პრეროგატივას მხოლოდ და რომელი საკითხი საკანონმდებლო დაწესებულებებს ექვემდებარება. ამნაირად, ერთის მხრით, რეაქციონერთა საწადელიც იქმნა დაკმაყოფილებული და, მეორეს მხრით, არც მთავრობის თავმოყვარეობა შეილახა სავსებით. ასეთის მოხერხებულის კომპრომისით დამთავრდა პირველი სერიოზული საპარლამენტო კონფლიქტი ზომიერ რეაქციონერთა და უკიდურესს რეაქციონერთა შორის...

ასეთი კომპრომისი სრულიად შეეთანხმება იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც თვით სტოლიპინმა შექმნა და რომელიც წარმოადგენს სრულს გამოურკვევლობას პოლიტიკურ მდგომარეობისას. არც წინ, არც უკან, არც ძველის აღდგენისაკენ, არც განახლებისაკენ. ეს ორი წელიწადია რუსეთის შინაური პოლიტიკა ერთსა და იმავე ადგილზე დაბარბაცებს და არ ეშველა გამორკვევა. ეს არის დიდგა დრო კურსის გამოცვლისა და გამორკვევისაო, ჰფიქრობს მთელი რუსეთი, მაგრამ შესაფერ წრეებში ყოველთვის მზადა აქვთ მოხერხებული გადაწყვეტილება, რომელიც კრიზისს ანელებს და გამეფებულს გამოურკვევლობას უზრუნველჰყოფს კიდევ რამდენსამე ხნით. ერთია მხოლოდ აღსანიშნავი, რომ ყოველ ასეთ კრიზისის დროს ზომიერი რეაქცია, ესე იგი მთავრობა და მისი პარტია სათათბიროში, უფრო სუსტდება, ხოლო უკიდურესი მემარჯვენენი უფრო გამხნევებულნი გამოდიან ბრძოლიდან. დღესაც უკიდურეს მემარჯვენეთა გამარჯვება უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე სტოლიპინსა: მისდამი ნდობის გამოცხადება უფრო მოოქროული აბია, რომელსაც გადააყლაპინებენ ნამდვილ დამარცხების უკეთ მონელებისათვის...

დღეს-დღეობით, მაშასადამე, საქმეთა მდგომარეობა უცვლელი რჩება: რუსეთი კვლავ განაგრძობს გამოურკვეველ ყოფაში ცხოვრებას. მაგრამ დიდ ხანს ასეთი ყოფა ვერ გასტანს და თანდათან მაგრდება ის ნიადაგი რომელზედაც „მავრი“ დაამთავრებს თავის გამარჯვებას. სტოლიპინისა და ოქტომბრისტების დღეები დათვლილია; რუსეთი წინ წასვლამდე კიდევ უფრო უნდა წავიდეს უკან და რაც უფრო მალე მოხდება ეს, რაც უფრო მალე გამოირკვევა მდგომარეობა, თუნდაც ეს გამორკვევა „მავრის“ გამარჯვებას ნიშნავდეს, მით უმჯობესია რუსეთისათვის...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მოსკოვის გაზეთები რუსეთის სახელგანთქმულ მწერალს გოგოლს უძღვნიან თავიანთ ფურცლებს. სულის ძლიერება, რომელიც გოგოლის უკვდავ ნაწერებში სცოცხლობს, გადამდები ძლიერებაა. იმან გამოაცოცხლა რუსეთის პრესსის მიძინებული კილო, საყვარელ მწერლის მოგონებამ შეახალისა მწერლების კალამი და აალაპარაკა ისინი ადამიანის ცხოვრების უდიდეს საკითხების შესახებ.

„რუსკ. ვედ“. მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გოგოლის ნაწერებს ადამიანის სულიერ აღორძინებისათვის.

ვინც გოგოლსა და იმის ღვაწლს იცნობს, ამბობს გაზეთი, კარგად ესმის, რომ დღეს იმის თვალთა წინაშე არა მარტო გენიოსი მწერალი, არა მარტო დიადი პიროვნება, არა მარტო რუსეთის მწერლობის ერთი დამფუძნებელთაგანია, არამედ აგრეთვე დიადი მოვლენაა, რომელიც ნათლად მოწმობს, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში საკითხს სულის ვითარების შესახებ. თუ თვით „მკვდარ სულების“ გმირს ჩიჩიკოვს ცხოვრების წუმპეში ღრმად ჩაფლულ ადამიანს, ნაზ და ჰაეროვან არსების სურათმა ფანტაზია აუთამამა და განუცხოველა და სულიერად აამაღლა იგი, მით უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ყველა უბრალო, გაურყვნელ ადამიანისათვის ფანტაზიის შემოქმედებას და ძლიერებას.

გაზეთი სამართლიან აზრებს გვიზიარებს იმის შესახებ, რომ დიდებულ მწერლების შემოქმედება, სხვათა შორის, იმით არის შესანიშნავი, რომ იგი, როგორც მზე, რომელიც სწორედ ეფინება ყველაფერს, კეთილისა და ავის განურჩევლად, აერთებს ყველა ადამიანს, კეთილის და ბოროტის მიმართულების განურჩევლად. გაზეთს აგონდება ის დრო როცა პუშკინის იუბილეის საყურადღებო დღეს იმის ძეგლის წინ რუსეთის მწერალმა ტურგენევმა ხელი გაუწოდა რეაქციონერ მწერალს, თვითმპყრობლობის ბურჯს კატკოვს.

ხოლო დიდებული მწერლობის მნიშვნელობა ყველაზე ნათლად იმაში კი არ გამოიხატება, განაგრძობს გაზეთი, რომ ისინი სხვის ცხოვრების გამრყვნელ ადამიანებს ასწორებენ, არამედ იმ გარემოებაში, რომ მათი გავლენა მდრს მომქმედია, მთელ ხალხს ეფინება იდეალს უღვიძებს გულში ადამიანს და ამცნევს, რომ არა მარტო პურითა ცოცხალ არს ადამიანი; ეს მწერლები შემთხვევას აძლევენ მას, იფიქროს არა მარტო მატერიალურ გარემოებაზე, არამედ უმაღლეს სულიერ ვითარებაზე, რომელიც განუშორებელია ადამიანის ცხოვრებისაგან.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აპრილი

## ოსმალეთი

**სალონიკი.** 26 აპრილს ღამე სალონიკში საიდუმლოდ ჩამოვიდა დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტი თალაათ-ბეი და იმ წამსვე ალლატინში (სულთნის აბდულ-ჰამიდის საცხოვრებელი ალაგი) წავიდა. თალაათ-ბეი დილით დაბრუნდა სტამბოლს. თალაათ-ბეის მოსვლის მიზანი ის იყო, რომ როგორმე დაეყოლიებინა სულთანი, რომ ის ფული, რომელიც მას უცხოეთის ბანკებში აქვს, ხაზინისთვის გადაეცა. არავინ იცის, მიაღწია თუ არა საწადელს თალაათ-ბეიმ.

ჩრდილოეთ ალბანიიდან დამაფიქრებელი ამბები მოდის. იუწყებიან, რომ ალბანელები იკრიბებიან და მომავალ მოქმედების შესახებ თათბირობენო. ინსტრუქციების მისაღებად სალონიკში მოვიდა იპეკის მუტესარიფი. უსკიუბიდან პრიზრენში რამდენიმე ბატარეია გაჰგზავნეს.

**სტამბოლი.** დღეს, 29 აპრილს, სტამბოლის სხვა და სხვა მოედანზე ჩამოახრჩეს 24 ფედფებელი და სალდათი და აგრეთვე სამხედრო იმამი. ამათ ჰბრალდებოდათ აფიცრების ამოჟლეტა და 31 მარტის აჯანყების ხელმძღვანელობა.

გაზეთების სიტყვით, ჟანდარმები შემოერტყვნენ იმ სასახლეს, სადაც დაიმალა აბდულ-ჰამიდის შვილი, პრინცი ბურხან-ედინი.

პალატა განაგრძობს იმ კანონპროექტის განხილვას, რომელიც კონსტიტუციის შეცვლას შეეხება. პალატის დადგენილების თანახმად, სენატში ორი-მესამედი სენატორებისა არჩეულ უნდა იქმნას, ხოლო ერთი მესამედი უნდა დანიშნოს ცხრა წლის ვადით. საერთო რიცხვი სენატორებისა არ უნდა აღემატოს დეპუტატების რიცხვის მესამედს.

დეპუტატთა პალატამ უკვე დაამთავრა განხილვა საკითხისა სენატის შესახებ. სენატორს არ შეუძლიან მინისტრად იყოს. ჯამაგირად სენატორს მიეცემა 750 ოსმალური გირვანქა. პალატის შესახებ დაადგინეს, ბიურო პალატისა ყოველ წლივ აირჩეს ხოლმე.

ფიქრობენ, რომ ხვალ სულთანი კონსტიტუციის ერთგულებაზე ფიცს დასდებს.

## სპარსეთი

**თავრიზი.** 26 აპრილს ხელში დასჭრეს რუსეთის საკონსულოს ერთი სალდათი დარაჯი დარაჯი უცნობმა დასჭრა. დამნაშავის აღმოსაჩენად ზომებია მიღებული. თავრიზში კონსტიტუციის აღდგენას დღესასწაულობენ. საკონსულოს დარაჯის დაჭრამ ხალხი დააღონა. ანარქიის ასაცდენად საჭიროა ჩქარა დაინიშნოს მიავრობის გუბერნატორი.

ჯერ-ჯერობით ურმიიდან არაფერი ამბავი არ მოსულა.

ამბავი მოვიდა, რომ მარანდის გუბერნატორის შუჯი-ნიზამის კაცები მცხოვრებთ სცარცვენო. ამიტომ გენერალმა სნარსკიმ მარანდაში ერთი როტა სალდათი და ორი ტყვისმტყორცნელი გაჰგზავნა. ჯარმა წესიერება უნდა აღადგინოს.

**მოსკოვი.** მოსკოვში დააპატიმრეს სპარსელ რევოლიუციონერთა ერთი მეთაურთაგანი ბოლგარელი პანოვი. პანოვს საზღვარ-გარედ გაჰგზავნიან.

## საზღვარ-გარეთ.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. სოციალისტების შეკითხვის (ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შესახებ) განხილვის დროს ბარტუმ განაცხადა: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი მუშაობის განახლების შემდეგ მართავდნენ ნებადაურთველ მანიფესტაციებს, აშკარად ამზადებდნენ გაფიცვას, ჰკიცხავდნენ მთავრობასა და პარლამენტს. თუ ფოსტის მოხელეებს ნებას მივცემთ, რომ პარლამენტზე მაღლა დასდგნენ, მაშინ მთავრობა მოისპობა. ფოსტის მოხელეებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ პარლამენტი სახალხო წარმომადგენლობაათ (ტაში). შეკითხვის განხილვა 30 აპრილისთვის გადაიდო. დეპუტატმა კოშენმა განაცხადა, რომ მცირე აზიაში სომხების აწიოკების შესახებ შეკითხვას შემოვიტანო.

**ჰუნგერუ.** (დასავლეთი აფრიკა) ჰუნგერუს ჩრდილო-აღმოსავლეთით ადგილობრივი მცხოვრებნი თავს დაესხნენ ლეიტენანტ ვანრენენს, რომელიც 38 დარაჯით გუსარიში წესიერების აღსადგენად მიდიოდა. მოკლეს თვითონ ვანრენენი და 11 დარაჯი. კუტუში დიდი რაზმით გაიგზავნა მაიორი ვილიამსი. არეულობას ადგილობრივი ხასიათი აქვს.

**პარიზი.** თუმცა ფოსტის მოხელენი გაფიცულები არიან, მაგრამ ფოსტა მაინც წესიერად მუშაობს. ოფიციალურის ცნობით გაფიცულია ფოსტის მოხელეთა ერთი მეხუთედი. ლიონსა, მარსელსა და ბორდოში ნორმალური მუშაობაა. სამუშაოდ არ გამოცხადდა ფოსტის მოხელეთა უმნიშვნელო ნაწილი.

## რუსეთი

**მოსკოვი.** გოგოლის დღესასწაულების გამო გამართულ ნადიმს 800 კაცი დაესწრო. ქალაქის თავმა წარმოსთქვა ხელმწიფე-იმპერატორის სადღეგრძელო. ამის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. მანუილოვმა დალია მშვენიერ საფრანგეთის სადღეგრძელო, იმ საფრანგეთისა, რომლის ემბლემაც წინ-სვლააო. შეასრულეს სამჯერ მარსელიეზა.

**პეტერბურგი.** „ფენიქსის" ქარხანაში ცულით მოჰკლეს ქარხნის გამგე, ინჟენერი პრიუდონი.

**რიგა** სამხედრო სასამართლოში ამ სამი კვირის განმავლობაში ირჩეოდა საქმე ტურკმენში 1905 წელს მომხდარ აჯანყების შესახებ. აჯანყების მეთაურნი ჯერ ისევ 1907 წელს შეიპყრეს და გაასამართლეს, ხოლო ეხლა 73 ბრალდებულს სასამართლომ მიუსაჯა: ერთს—ჩამოხრჩობა (ამასთან დაადგინეს იშუამდგომლონ სასჯელის შემსუბუქების შესახებ), ერთს—უვადო კატორღა, 12—ექვსი წლის კატორღა, ორს—ოთხი წლით, 19 (?), 38 ბრალდებული გაამართლეს.

**პარიატინი.** სოფელ კაპლიტიცაში 30 სახლი გადაიწვა. დაიწვა დიდ-ძალი შინაური საქონელი და ქონება. დაზარალებულთა შორის ბევრი ღარიბია.

**პეტერბურგი.** გამოძიებამ გამოარკვია, რომ „ფენიქსის" ქარხნის გამგე-ინჟენერი მოჰკლა მოდელების სახელოსნოს ჩვიდმეტი წლის მუშამ. ამ მკვლელობით მუშამ შური იძია გამგეზე იმის გამო, რომ მისი მამა გამგემ სამსახურიდან დაითხოვა და აღარ უნდოდა უკან მიეღო.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, გადასცეს კავკასიის რკინის გზის გამოსყიდვა. ამასთან დაადგინა, მიანდოს უწყებების წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიას შეიმუშაოს გამოსყიდვის გადადების საფუძვლები და ვადა, როდემდისაც უნდა გადაიდოს გამოსყიდვა. მინისტრთა საბჭომ დაადგინა აგრეთვე, მიაწეს-რიგოს კერძო საზოგადოებათა მიერ რკინის გზების გაყვანის საქმე. უნდა უარი ეთქვათ იმ შუამდგომლობაზე, რომელსაც საზოგადოებათა დამაარსებელნი შეიტანენ ფულის გადახდის ვადის გაგრძელებისა და საექსპლოატაციო ნერო თანხის შედგენის შესახებ.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა სათათბიროში წარსადგენად საერო განათლების მინისტრის წინადადება საშუალო ვაჟთა სასწავლებლების მოსამსახურეთა და ოლქის ინსპექტორთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

**ხარკოვი.** სამხედრო სასამართლო შეუდგა მძარცველთა ბრბოს საქმის გარჩევას. ეს ბრბო მოქმედებდა მაზრაში. სამართალში მიცემულია 27 გლეხი.

**პეტერბურგი.** დღევანდელ სხდომაზე ლოპუხინის საქმის შესახებ გამოაქვეყნეს ორი წერილი ვიღაც უცნობ კაცისა. ეს წერილები იპოვნეს მოსკოვში რევოლიუციონერების გაჩხრეკის დროს. ამ წერილებში ეწერა, რომ აზეფი პროვოკატორია, და რომ ეს გამოაშკარავება მოახდინა ბურცევმა ლოპუხინის დახმარებითაო. ნაშუადღევის ხუთ საათზე დაიწყო კამათი. პროკურორი იცავდა ბრალდებას, თანახმად მე-102 მუხლისა. იგი ამტკიცებდა, რომ ლოპუხინი დაუკავშირდა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას, გამოამჟღავნა აზეფის მოქმედება დამცველ პოლიციაში და ამით დიდი სამსახური გაუწია პარტიასაო. პროკურორმა მიუთითა მოსამართლეებს მოწმეთა იმ ჩვენებაზე, რომელიც ნათელსა ჰფენდა აზეფის მოღვაწეობას და ამბობდა, რომ აზეფი ერთსა და იმავე დროს თუმცა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიაშიაც მოღვაწეობდა და მაძიებელ პოლიციაშიაც, მაგრამ პოლიციას სწორე ცნობებს აწვდიდა და ბევრი პოლიტიკური მკვლელობა აუცდენია თავიდანაო; იცოდა ყველა განზრახვა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიისა, პოლიციას მეტად კარგ ცნობებს აძლევდა და ამით იგი დაუფასებელი აგენტი იყო პოლიციისაო. ლოპუხინის დამცველი ამტკიცებდა, რომ ლოპუხინის საქციელში არა აქვს ადგილი იმ ბრალდებას, რომელსაც პროკურორი იცავსო. თუ ლოპუხინმა რაიმე დანაშაულობა ჩაიდინა სამსახურის დროს, იგი უნდა სამართალში იქმნეს მიცემული, როგორც სამსახურის დროს დაუდევრობის ან ბოროტმოქმედების ჩამდენი. ლოპუხინს არავითარი სამსახური არ გაუწევია პარტიისათვის იმით, რომ აზეფის მოღვაწეობა გამოამჟღავნა. აზეფი ბოროტ-მოქმედი იყოო, განაცხადა დამცველმა, პირიქითაო, სთქვა დამცველმა, ლოპუხინმა პარტიას კი არ გაუწია სამსახური, არამედ სახელმწიფოს, რადგან გასცა აზეფი, როგორც რევოლიუციონურ პარტიის ხელმძღვანელი, და ამით ხელი შეუწყო პარტიის დაშლასაო. თვით ლოპუხინმა თავის უკანასკნელ სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა, რომ არ შემეძლო არ დამეჯერებინა ბურცევის სიტყვა, რომელიც ამტკიცებდა, რომ აზეფი ტერორისტულ აქტების მომწყობიაო. და რადგან დაუჯერე ბურცევს, არ შემეძლო გავჩუმებულიყავი. თვითოეულ ტერორისტულ აქტის ჩადენა ჩემთვის ძნელი ასატანი იქნებოდა, რადგან მეცოდინებოდა, ვინც არის მისი ჩამდენი, მისი თავი და ბოლო. რევოლიუციონურ პარტიებთან არას დროს არავითარი კავშირი არა მქონიაო. ამას შემდეგ სხდომა გადაიდო 30 აპრილისთვის.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**„ყვირილის საქმე".** „ყვირილის საქმე" განსახილველად დანიშნულია ქუთაისში 11 მაისისთვის. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულია 15 კაცამდე, რომელთაც ბრალდებათ ტენგინის პოლკის როტისთვის იარაღის აყრა და სარევოლიუციო აზრით სამაზრო ხაზინიდან 201,000 მანეთის გატაცება.

**წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება.** წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება, როგორც ვწერდით, ბაქოშიაც არსდება. ბაქოს განყოფილებამ ამას წინად უკვე აირჩია გამგეობის წევრნი და სხვა მოხელე პირნი. ოფიციალურად ბაქოს განყოფილება გაიხსნება კვირას 3 მაისს. ამ დღისათვის დანიშნულია პირველი საზოგადო კრება ბაქოს წევრებისა.

**სომეხთა დაპატიმრება.** ამ დღეებში ეჩმიაძინში გაუჩხრეკიათ, დაუპატიმრებიათ და ერევნის საპატიმროში გაუგზავნიათ სომეხთა სასულიერო აკადემიის რექტორი მინას ბერბერიანცი. დაუპატიმრებიათ აგრეთვე რექტორის თანაშემწედ ნამყოფი არქიმანდრიტი ჰუსიკ ზოჰრაბიანი და სხვანი.

**ფული ჟანდარმების ბინებისთვის.** ამას წინად ტფ. ქალაქის საბჭომ უარ-ჰყო ადმინისტრაციის წინადადება ჟანდარმების ბინებისთვის დამატებით ფულის გადადების შესახებ. ეხლა გუბერნატორმა ეს ფული მოსთხოვა ქალაქს სამხედრო დროის წესდების მე-101 მუხლის ძალით. გამგეობამ უნდა შეასრულოს ბრძანება, მაგრამ დაადგინა, იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ გუბერნატორის მოქმედება გასაჩივრებულ იქნას სენატში.

**მკვლელობა.** 29 აპრილს, ღამის 11 საათზე, უგოლნი ქუჩის შესახვევში ვიღაცები თავს დაეცნენ ფეხსაცმელების მკერვალს ივანე იშხანოვს. იშხანოვი ხანჯლით იქვე მოჰკლეს.

**დაპატიმრება.** 29 აპრილს გაჩხრიკეს ალექსანდრეს ბაღში მყოფი ხალხი და 8 კაცი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთ პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

**ბენეფისი ტ. აბაშიძისა.** დღეს საარტისტო საზოგადოების თეატრში დანიშნულია ბენეფისი მსახიობ ქალის ტასო აბაშიძისა. წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტტა: „რაინდი უშიშარი და გულმართალი" და „ნატვრის თვალი".

**სომეხთა კათალიკოსი.** 3 მაისს ეჩმიაძინიდან პეტერბურგს მიდის სომეხთა სასულიერო სინოდის დეპუტაცია, რომელიც პეტერბურგში სთხოვს, სომეხთა კათალიკოსს იზმირლიანს უნდა ნება დაერთოს დიდან ეჩმიაძინში ჩააკითხოს.

**ტყე სოფლელებისთვის.** დღეს სახაზინო ტყეებიდან უტყეო სოფლებს ხე-ტყე და შეშა ეძლევათ. მთავრობას აზრად აქვს, ეხლა ტყის ნადელები მისცეს სოფლებს.

**სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** ოთხშაბათს, 29 აპრილს, საღამოთი მოხდა კრება კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებამ განიხილა საბჭოს მოხსენება საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ. საბჭოს აზრით, უნდა შეიცვალოს წესდების მე-29 მუხლი. საწევრო ფული დღეს 10 მანეთია. ახალის მუხლით 5 მანეთი უნდა იყოს. ვინც ერთი წლის განმავლობაში (მუხ. 31) საწევრო ფულს არ შეიტანს, იგი წევრობიდან იქნება გამორიცხული, ხოლო შემდეგ წელს თუ ესევე წევრი დარჩენილ გადასახადს შეიტანს, კვლავ ჩაირიცხება წევრად. წესდებაში საბჭოს შეუტანია 9 ახალი მუხლი. ამ მუხლების ძალით სამეურნეო საზოგადოებასთან შეიძლება დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტები. ყოველი კომიტეტი იზრუნებს ამა თუ იმ სამეურნეო დარგის აღორძინებისთვის. შეიძლება დაარსდეს კომიტეტი მიწათ-მოქმედებისა, პირუტყვის მოვლა-მოშენებისა, მეფუტკრეობისა, მევენახეობა-მეღვინეობისა, მებაღეობისა, მეაბრეშუმეობისა და სხვა. ზოგიერთმა მუხლმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. დასასრულ კრებამ, უმნიშვნელო ცვლილებით, მიიღო მოხსენება წესდების შეცვლის შესახებ. კრებამ დაადგინა, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა.

ადმინისტრატიული წესით გადასახლებული დიმიტრი კოჭუაძე, რომელიც თავის ნებით დაბრუნებულა, პოლიციამ 29 აპრილს კვლავ დაპატიმრა.

29 აპრილს დააპატიმრეს ნიკოლოზ ოჯანოვი, რომელსაც ბრალდება ტფ. პირველ გილდის ვაჭრის სიმონ პოდოსოვის მაღაზიის გაქურდვა.

29 აპრილს ტფ. მესამე მომრიგებელ მოსამართლეს დარბაზში დარია ბოინოგირამ კარბოლის სიმჟავე დალია და თავი მოიწამლა, ავადმყოფი

# ფელეტონი

## რუსთა შორის

დუბროვინი და ერთი მკვლელობა.—არქიმანდრიტი მღიჯარადრე და საინტენდანტოში მოღვაწეობა.—ნომრები გვარების ნაცვლად.—პურიშკევიჩის მოღვაწეობის ნიმუშები.—პროექტი პოლონეთის გაყიდვის შესახებ.

რუსეთის მცხოვრებს ერთი ღა დარჩენია: იფიქროს იმაზე, თუ რა მოელის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" „ნაპოლეონს" ღრმად პატივცემულ ექიმ დუბროვინს. გაიტანს თავისას ფინლიანდიის სასამართლო და, როგორც წესია, ისე დასჯის თუ არა დუბროვინს. ჩამოახრჩობენ თუ არა და თუ ჩამოახრჩობენ, როგორ: საქვეყნოდ, თუ სატუსაღოს ეზოში, დილის 4 საათზე, თუ სხვა დროს? ერთის სიტყვით, მრავალი ასეთი კითხვა მოსდის თავში რუსეთის მცხოვრებს. საქმე ის არის, რომ დუბროვინს, როგორც ერთი კაცის ჩვენებიდანა სჩანს, გერცენშტეინის მკვლელობაში დიდი მონაწილეობა მიუღია: მას თურმე ფული უძლევია გერცენშტეინის მოსაკლავად.

იმ დროს, როდესაც რუსეთის მცხოვრები დუბროვინის ჩამოხრჩობაზე ოცნებობს, „ჭეშმარიტების" ლეიბ-ორგანოს „რუსკ. ზნამია"-ს არც კი სჯერა, რომ ფინლიანდიის სასამართლოს იმდენი გაებედოს, რომ „რუს ნაპოლეონისთვის" მკვლელების წაქეზება დაებრალებინოს. იმდენად არა სჯერა, რომ არც ბეჭდავს მოწმეთა ჩვენებას, ყველაფერი ეს „კრამოლნიკურ" გაზეთების ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერიო. ეხტიბარს არ იტეხავს, რაღა, თორემ მან უფრო კარგათ არ იცის, რომ აქ ფანტაზია არაფერ შუაშია.

უნდა მოგახსენოთ, „რუსკ. ზნამ." ბოლო დროს დარწმუნდა, რომ ვიღაც მოღალატეს მართლაც ამისთანა „ჭორები" გაუვრცელებია და ისიც სამზადისს შეუდგა. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, „ინოროდცები" შეეხეჩა თვალებში. ფინლიანდიელები „ინოროდცები" არიან და აბა, რასაკვირველია, „ჭეშმარიტ რუსების" „ნაპოლეონის" დაღუპვას მოუნდომებენო. მეორე ეს მოწმე პარტიიდან დავითხოვეთ და ჯავრსა ყრილობსო. დასკვნა: მთელმა „კავშირმა" უნდა იშუამდგომლოს, რომ დუბროვინს ასეთი „ცილისწამება" ჩამოაშორონ და თუ ეს არ შეიძლება, რუსეთის სასამართლომ გაასამართლოს დუბროვინიო. ეს რომ რუსეთის „თავხედი" მცხოვრებნი ტყუილად იწუხებენ თავს იმისთანა კითხვებით, როგორიც არის—„ჩამოახრჩობენ თუ არა დუბროვინს", და ტყუილად ოცნებობენ, რომ დუბროვინი საქვეყნოდ ჩამოახრჩონ. დიაღ, რუსეთში ძალიან მოდაშია „პოგრომშჩიკების" პატივება...

***

„ჭეშმარიტ რუსთა" „მრავალფეროვან მოღვაწეობიდან" ერთის „მოღვაწეობის" მოთხრობით კიდევ უნდა შევაწუხოთ. მართალია, ბევრით არაფრით არიან საინტერესონი ეს „ჭეშმარიტები", მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „დრონი მეფობენო": მათ დარჩათ ბურთი და მოედანი და მოდით თქვენ და ანგარიში ნუ გაუწევთ.

საქმე იმაშია, რომ ეს ვაჟბატონები ძალიან მოყვარულები არიან „ქონქარისა". და აბა ერთი მითხარით, რუსეთში რაღაა იმაზე ადვილი, რომ ხაზინა მშვიდობიანის საშუალებით გაცარცოთ! მერე ისიც თუ ამ გაცარცვას პატრიოტიზმი უდევს სარჩულად. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ როდესაც „მტრის დასამარცხებლად" მიდიხართ, უპირველეს ყოვლისა სუსტი მხარე უნდა გამოუნახოთ და ისე მიიტანოთ იერიში. ხაზინის ასეთი სუსტი მხარე („ჭეშმარიტე რუსებსაც" დიახაც მოეხსენებათ) საინტენდანტო გახლავთ. ერთის მხრით მოხელეებიც ქანქარის მოყვარენი არიან და მეორეს მხრით პოლონელები და ებრაელები რომ არ გამდიდრდნენ, იმას რა სჯობიან, „ჭეშმარიტმა რუსებმა" ისარგებლონ!

ასეც მოიქცნენ ეს უკანასკნელნი: მთავარი მოიჯარადრე ცნობილი „ჭეშმარიტი რუსი" არქიმანდრიტი მაკარი გახლავთ და, უნდა მოგახსენოთ, კიდეც ისახელა თავი და იმედიცა აქვს, რომ მომავალი თაობა არ დაივიწყებს ამის მოღვაწეობას, მარტო ის რათა ღირს, რომ არქიმანდრიტი მოიჯარადრეა? თუ ბერი ხარ, ყოველსავე ამა ქვეყნისაზე უარი სთქვი და სულის ცხონებას შეუდექი, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ამ საქმეში სამშობლოს სამსახურია გარეული. ებრაელებმა რომ გაცარცვონ საინტენდანტო? მაშინ ვინ აგებს პასუხს? ვინ უნდა იზრუნოს რუსეთის საკეთილდღეოდ? რა თქმა უნდა, „ჭეშმარიტმა რუსებმა". და აბა მაშინ, როდესაც სამშობლოს ხიფათი მოელის, რა დროს სულის ცხონებაა! სწორედ ასე მსჯელობს მამა კურთხევა არქიმანდრიტი მაკარი. ერთი ფუთი ქერი სამი აბაზი ღირს, სამშობლოსა და ხაზინას შევწიოთ და ექვს აბაზად მივყიდოთო. ხაზინაში მარკებისა და სხვა ხარჯებისა 1040 მანეთია შესატანი, ვიზარალოთ, მომავალი დაგვიფასებს და მხოლოდ 104 მანეთი შევიტანოთ და სხვა. დიდი უსამართლობა იქნება, დავივიწყოთ არქიმანდრიტის მარჯვენა და მარცხენა ხელები—ცნობილი შავრაზმელი სოკოლსკი, რომელიც „კაი საქვეყნოსთვის" უკვე რამდენჯერმე იჯდა ციხეში და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვოეიკოვი. ეს უკანასკნელი „მემამულედ" იყო მონათლული, თუმცა კი, ღვთის წინაშე, მისი მამული ორიოდე დღიური მიწით განიზომებოდა, მაგრამ, ხომ იცით, სამშობლოსთვის ყველაფერი შეიძლება. რატომ არ შეიძლება, რომ ამ „მემამულის" მამული მხოლოდ 70 ფუთი ხორბალს იძლეოდეს და არქიმანდრიტის მაკარის ლოცვა-კურთხევით 300,000 ფუთად გადაიქცეს? ამნაირია დასაწყისი, სენატორ გარინის რევიზიით, „ჭეშმარიტ რუსთა" საინტენდანტოში მოღვაწეობისა. არ ვიცით, როგორ დაბოლოვდება ეს საქმე და გადასცემენ თუ არა მათ საპყრობილის ადმინისტრაციას. ეს კი, საინტენდანტოს უფროსმა სახელმწიფო სათათბიროში განაცხადა, ვეცდები ჩემ უწყებაში ქურდობა მოვსპო და „დიდი თევზები" დავიჭიროო. რამდენად გაამართლებს თავის სიტყვებს გენერალი, ვნახავთ. კარგი კი იქნება, არქიმანდრიტ მაკარის ანაფორა გაჰხადონ და ტუსაღის ტანისამოსით შემოსონ.

***

ბევრი ამისთანა სურვილი და დაპირება წარმოუთქვამთ სათათბიროს წინაშე, მაგრამ ყოველთვის ამ დაპირებებსა და სურვილებს ჩაილურის წყალი დაულევიათ. ისიც მართალია, რომ თვითონ სათათბიროც არაფერს აკეთებს და მარტო პურიშკევიჩი, ტიმოშკინი და კომპანია კლოუნობს, მაგრამ ყველაფერი ეს ეპატიებოდა, თუ ერთ რეფორმას შემოიღებდა. რუსეთში ძალიან საჭიროა, რომ გვარების მაგიერ ნომრები შემოიღონ, მაგალითად ივანოვის მაგიერ № 1, პურიშკევიჩის მაგიერ № 2 და ასე, თორემ ეხლა ხშირია უბედურება. გამოჩნდა ვინმე თქვენი მოგვარე ყაჩაღი ან გადასახლებელი, წახდა თქვენი საქმე.

ასე დაემართა პოდპორუჩიკ ივანოვს, რომელსაც ერი მშვენიერ დღეს ჩამოართვეს ყოველივე უფლება, ორდენები და სხვა. თურმე ნუ იტყვით, ამ ივანოვს ჰყოლია ერთი თანამოგვარე, იმისთვის უნდა ჩამოერთმიათ ყოველივე უფლება და იმის მაგიერ კი ამ საცოდავ ივანოვს სტაცეს ხელი. საწყალმა რამდენიმე თვე იშუამდგომლა, მაგრა ეხლაც ღირსება ჩამორთმეული დადის: განა ეს ერთი მაგალითია? წინადაც ბევრი მომხდარა ამისთანა. როდესაც ცნობილმა დეგაევმა (რევოლიუციონერი იყო, დაიჭირეს და მერე ამხანაგები გასცა დეგაევი ეხლახან გარდაიცვალა ავსტრალიაში; რუსეთიდან გაქცევის შემდეგ ამერიკას და ავსტრალიაში სცხოვრობდა, იქ მათემატიკის პროფესორობაც კი მიიღო. დეგაევს, რუსეთის გაზეთების სიტყვით, დღიური დაუწერია, სადაც იგი თავს მართლულობს ამხანაგები არ გამიციაო) ჟანდარმის უფროსი სუდეიკინი მოჰკლა, მთავრობამ სასტიკი ბრძანება გასცა, დეგაევი დაიჭირეთ, ამასთან ყურადღება მიაქციეთ, შეიძლება მას მღვდლის ტანისამოსი ეცვასო. ამის შემდეგ საიდუმლო პოლიციის აგენტებმა ისე გაუჭირეს საქმე მღვდლებს, რომ თქვენი მოწონებული. ასე გასინჯეთ ერთი სოფლის მღვდელს ქალაქ მოსკოვიც კი შეაძულეს, დაიდეს მისი ცოდვა და ამის შემდეგ მოსკოვში აღარ გაუვლია. ეს მღვდელი ერთხელ მოსკოვში ჩავიდა. საჩქაროდ ბილეთი აიღე და მატარებლისკენ გასწია (შინ ბრუნდებოდა), მაგრამ—დახეთ უბედურებას!—უკანიდან ვიღამაც თმაში სტაცა ხელი.

— მოითმინეთ, მამაო, თქვენ მგონი დეგაევი ხართ...

— ვინ დეგაევი, რას ამბობთ, მე ესა და ეს მღვდელი ვარ.

საიდუმლო პოლიციის აგენტმა უფრო ძალიან გასწია მღვდლის თმას, ალბად უნდოდა გაესინჯა, ყალბი თმა ხომ არა ჰქონდა, როდესაც დარწმუნდა, რომ მღვდელს ყალბი თმა არა ჰქონდა, ბოდიში მოიხადა:

— უკაცრავად, მამაო, ნაბრძანები გვაქვს მღვდლები გავსინჯოთ, ჩვენით არაფერს ვაკეთებთ... ლუკმა პურს ვჭამთ... მაპატიეთ...

ამისთანა კურიოზები ხდებოდა მაშინ და ეხლა ხომ ნუღარ იტყვით. კიდევ კარგი, თუ თქვენი თანამოგვარე ტერორისტი, ყაჩაღი და სხვა ამისთანა არ არის, თორემ ღმერთმა დაგიფაროთ, ამისთანა შემთხვევაში, რასა ბრძანებთ, პირდაპირ გირჩევნიათ მტკვარში თავი დაიხრჩოთ.

ქალი მიხეილის სავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობას ვუცხადებთ როგორც მე, ისე მეორე შხეფის სოფლის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის კრებული აზნ. ივანე ნესტორის ძე ძიძიკურს, რომელმაც შემოსწირა ხსენებულ ეკლესიას წყვილი დროშა ღირებული ორმოცდა ათ მანეთად, ერთი ხელი შესამოსი სამღვდელო, ძვირფას ფარჩისა, ღირებული სამოცდა ათ მანეთად და ერთი წყვილი დაფარნები ბარძიმ-ფეშხუმისა, ხავერდისა ღირებული ექვს მანეთად.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „კეთილ-ინებეს და მათდა მოსახსენებლად შემოწირეს რწმუნებულ ჩემდამო ს. ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიას 24 მარტს ამა 1909 წელს გარდამოხსნა სუსანის ოქროს ვარაყით, დახატული თავის კუბოთი, ღირებული 40 მ. ალავერდს მცხოვრებმა დ. ყვირილაში მოვაჭრეებმა იულონ და ალექსანდრე ამბაკოს ძეებმა ყანჩაველებმა, რომელსაც ლოცვა-კურთხევით მადლობას ვუცხადებ- მღვდელი ალექსანდრე არდიშვილი“.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ბანკის მოგება თავად-აზნაურობას.** დიდი ხანია ქუთაისის თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ საადგილ-მამულო ბანკის მოგება მას გადასცემოდა თავის საქიროებათა დასაკმაყოფილებლად. საქმეს უვლია კანცელარიებში და აი ამას წინად ბანკს მოსვლია ფინანსთა მინისტრის ქაღალდი, რომ სამინისტრო წინააღმდეგი არ არის ბანკის მოგება თავად-აზნაურობას გადაეცეს, თუ ამას დაადასტურებს ბანკის რწმუნებულთა კრებაცაო. ეს საკითხი განსახილველად გადაეცემა ბანკის წლევანდელ კრებას.

✦ **უვარგის აბრეშუმის თესლის შედეგი.** როგორც ირკვევა, ახალ გაზაფხულზე დიდ-ძალი დაბალი ხარისხის აბრეშუმის თესლი დარიგდა ხალხში, რომლის უვარგისობა თვალსაჩინო შეიქნა ჭიის გამოსვლისათანავე. ხალხმა მაშინ დაინახა შეცდომა და დაუწყო ძებნა ბანდეროლიან თესლს, მაგრამ გვიან ღა იყო. —საქმე იმდენად დიგვიანდა, რომ გამოუსვლელი თესლი საშოვარი აღარ იყო და ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, რომ გამოსულ თესლს ყიდულობდნენ. ამასთან აბრეშუმის ჭიის ზდას ავი ამინდი დაუდგა. დიდ სიცხეებს საგრძნობელი ცივი დღეები მოჰყვა, რამაც მეტად შეაწუხა ჭია.

✦ **მოხსენება.** საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრების მიერ არჩეულმა სარევიზიო კომისიამ დაამთავრა მოხსენების დაბეჭდვა და წარუდგინა ბანკის გამგეობას. გამგეობას უცნობებია კომისიის თავმჯდომარისათვის, რომ ხსენებული მოხსენება რწმუნებულთა კრების განხილვამდის არავის უნდა მიეცეს და გახმაურდესო.

✦ **შავი ქვის მრეწველთა კრების შესახებ.** შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ 28 აპრილს ჭიათურაში მთავრობის ნებართვით, მიიწვია მრეწველთა კრება კერძო თათბირზე. 1. საჭირო და სასურველია თუ არა მრეწველთა მორიგი კრების მოწვევა ამ ახლო მომავალში; 2. შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე საფუთო გადასახადის გადიდების შესახებ მრეწველთა საბჭოს სასარგებლოდ და 3. ფოთის სასარგებლოდ ნახევარ კაპეკის საფუთო გადასახადის შესახებ. პირველ საკითხის შესახებ დაადგნენ ასეთ აზრს: რადგან, მრეწველთა ახალ სიის თანახმად, კრებაზე ხმის უფლება ექნება მხოლოდ მრეწველთა მეტად მცირე ნაწილს (20—30 კაცს), რაიც გამოიწვია წვრილ მრეწველთა მხრივ ოპერაციის შეჩერებამ, კრებამ მიანდო საბჭოს, შეეკითხოს, სადაც ჯერ არს, შეიძლება თუ არა კრების მოწვევა ძველის (1907 წლის) სიით. დანარჩენ ორ საკითხის გამოსარკვევად კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საბჭოს წლიური შემოსავალ-გასავალი, მისი კასის მდგომარეობა და ამის მიხედვით წარუდგინოს კრებას თავისი მოხსენება: საჭიროა საფუთო გადასახადის მომატება საბჭოს სასარგებლოდ თუ არა, და აგრეთვე თუ რამდენად მავნებელი იქნება ჭიათურასა და იმის მრეწველობისათვის საფუთო გადასახადი ფოთის სასარგებლოდ.

✦ **თვით-მკვლელობანი.** 27 აპრილს ჭიათურაში შემდეგი ამბავი მოხდა: რკინის გზის სადგურის მახლობლად, მამის სახლში თავი ჩამოიხრჩო 11—12 წლის ყმაწვილმა. ყმაწვილს ჩამოუბამს ჩარდახში შაქრის თოკი და თავი ჩამოუხრჩვია. გვარად ეს ყმაწვილი შადურია. მამა მისი ჩომახიძის მარგანეცის სარეცხ ქარხანაშია მუშად. მიზეზი თავის ჩამოხრჩობისა არავინ იცის. ამავე საღამოს მეორე საცოდაობაც მოხდა: ერთმა ხანში შესულმა კაცმა, გვარად ჩინჩალაძემ, თავი დაიხრჩო მდ. ყვირილაში. მას ტანისამოსი დუქნის აივანზე დაუტოვებია, რომელიც მდინარეს გადასცქერის დიდის სიმაღლიდან, და თითონ წყალში გადამხტარა. საბრალოს თავი ქვებზე გაუტეხია და იქვე დამხრჩალა. ამისი თავის დახრჩობის მიზეზიც გამოურკვეველია ჯერ-ჯერობით.

---

# სნეულთა შეუღლების აკრძალვა

„ტიფ. ლისტ.“ ამაყობს სომხებთა კათალიკოსის ახალ განკარგულებით, რომლის ძალითაც სნეულ სომხ-გრეგორიანთ შეუღლება უნდა აეკრძალოთ. მით უფრო სასიქადულოდ მიაჩნია გაზეთს ეს მოვლენა სომხეთა ცხოვრებაში, რომ ამ განკარგულების საფუძვლად შემოღებულ პრინციპს თურმე სავსებით თანაუგრძნობს თვით ცნობილი მწერალი სახელმწიფო სოციალისტი ანტონ მენგერი.

გაზეთი სამართლიანად მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა ბოროტ-მოქმედებაა ავადმყოფ მშობელთა მიერ სნეული შვილების გამრავლება და ბოლოს სრულებით უსამართლოდ ადგენს განაჩენს, რომლის ძალითაც სნეულთა შეუღლების მექანიკური აკრძალვა, კათალიკოსისა და ანტონ მენგერის კურთხევის შემდეგ, სომეხთა წარმატების უტყუარ ნიშნად მიაჩნია.

ზედაპირულად მოაზრე ავტორს, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა ის მოსწონს და იმას ჰხედავს, რაც ცხოვრების ზედა-პირზე სჩანს—შავი ასოებით თეთრ ქაღალდზე დაწერილი კანონი, და სრულებით ვერა ჰხედავს იმ მრავალ მიხვეულ-მოხვეულებსა, რომლებიც თვითეულ კანონს გარს არტყია. კანონი არაფერს ამცნევს ადამიანის გრძნობა-გონებას: იგი მხოლოდ მშრალი გარეგნული განაჩენია, რომლის დარღვევას სასჯელი სდევს. დღეს კი საანბანო ჭეშმარიტებად გადიქცა, რომ სასჯელი არავის აფრთხობს და უსასტიკესი ზომები საზოგადოდ უსაშინელეს ბოროტ-მოქმედებას ჰქმნის, რის მოწმენი, თითქმის ყოველ დღე, ჩვენცა ვართ.

განა თეთრ ქაღალდზე დაწერილი შავი განკარგულებით შეგიძლიანთ გაუღვიძოთ ადამიანს ადამიანური გრძნობა ამაო ცდაა. ადამიანის გრძნობა-გონების გამოღვიძება მხოლოდ გაღვიძებულ მგრძნობიერ და გონიერ სიტყვასა და მოქმედებას შეუძლიან. როცა საზოგადოება ზნეობრივად მიძინებულია, იმას თავის დღეში ვერ გამოაღვიძებს მშრალი და უსიცოცხლო კანონი. თუ ეს კანონი პირდაპირ აუკრძალავს სნეულ ადამიანებს შეუღლებას, ისინი ამ შეუღლებასა და სნეულ შვილების გაჩენას განზედაც მოახერხებენ, რისთვისაც, რასაკვირველია, უმაღლეს სასულიერო გვამთა და მეცნიერთა კურთხევა არ დასჭირდებათ.

„ტიფ. ლისტოკ“-ში მოთავსებულ წერილის ავტორი, ჩვენის აზრით, ბოლოს და ბოლოს თვითონ უარჰყოფს თავის მიერ გამოთქმულ აზრს, როცა ამბობს, რომ ამ სამწუხარო მოვლენას, სნეულთა შეუღლებას და სნეულთა გამრავლებას, ღრმა საზოგადოებრივი მიზეზი ჰქმნისო. თუ მიზეზი ასე ღრმაა, რაშიაც სავსებით ვეთანხმებით ავტორს, ნუ თუ ამ მიზეზის აღმოფხვრა ერთი კალმის მოსმით დამტკიცებულ კონდაკებით შეიძლება? ნუ თუ არა სწამს ავტორს, რომ ყოველნაირი აკრძალვა მხოლოდ უფრო ამტკიცებს და განავითარებს იმ გვამთა უფლებას და კეთილდღეობას, რომელთა ხელშია ამ აკრძალვის უფლება, რომ ის მოწმობანი ჯან-საღობისა, რომელთაც სომეხთა ღვდლები მოსთხოვენ შეუღლების მსურველთ, საზოგადოდ ადვილი საშოვარია...

მერე განა მრავალი არაა რიცხვი იმ სნეულებათა, რომელთაც დაკვირვებული და დინჯი გამჭრიახობა თუ გამოარკვევს. და არა მოწმობისთვის მოსულ ადამიანთა ზედა პირული გასინჯვა, რაც ყველგან ჩვეულებათაა შემოღებული?

ყველა ამ მიზეზის გამო ბოლოს და ბოლოს ამაო ცდა იქნება ღრმა სოციალურ სატკივრების აღმოფხვრა მშრალ განკარგულებათა საშუალებით.

**ი. ნაკაშიძე.**

---

# უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

**რა იპოვეს ილდიზში.**

ილდიზში ფულის, ძვირფას ნივთებისა და მიწერ-მოწერის გარდა, 10 ათასამდე რევოლვერიც იპოვეს. ამ იარაღს აბდულ-ჰამიდი მტრების დასახვედრად ინახავდა თურმე ყოველ შემთხვევისთვის. იპოვეს აგრეთვე მანეკენები (ხის კაცები), რომლებიც აბდულ-ჰამიდის ბძანებით დაჰქონდათ ხოლმე მის ეტლებით შეთქმულების მოსატყუებლად.

მთავრობამ გამოაცხადა, რომ ილდიზის ბიბლიოთეკა მალე ყველასთვის ხელმისაწდომი გახდებაო. იქ დიდძალი ძველი ხელნაწერი ინახება თურმე.

. აბდულ-ჰამიდის ჰარამხანაში ჯერ კიდევ დარჩა ზოგი ქალი. დარჩენილი ქალები თავის შვილებით დღისით ეტლებით დასეირნობენ ხოლმე სტამბოლში. ზოგი მათგანი აბდულ-ჰამიდის სიძის ჰარამხანაში გადავა, სხვებს პრინცესები გაუწევენ პატრონობას.

**აბდულ-ჰამიდი სალონიკში.**

აბდულ-ჰამიდი ეხლა-კი დარწმუნდა თურმე, რომ მის სიცოცხლეს განსაცდელი არ მოელის, დამშვიდდა და ჭამა დაიწყო იმ საჭმლისა, რომელსაც მას უმზადებს ილდიზის მზვარეულთ-უხუცესად ნამყოფი. ჰამიდი მთელი დღე ზის ალატინის ვილას ბალკონზე და ზღვას გასცქერის მისი ვაჟიშვილები მთელ დღეს ატარებენ ბაღში, სადაც თავიანთ ტოლებს ეთამაშებიან. მისი ცოლები, მდიდრულად მორთულნი, ბაღში სეირნობენ. ალატანის ვილას იცავს 200-მდე კაცი, რომელთა შორის თითქმის ნახევარი აფიცერია ჯარის-კაცის ტანისამოსში გამოწყობილი. ვილას დღე და ღამ დარაჯობენ ავტომობილები და ველოსიპედისტები. ყოველ ჯერზე მას დარაჯობს 50 კაცი. ჰფიქრობენ. რომ აბდულ-ჰამიდის გაქცევა ვილადან მაინც და მაინც შეუძლებელ საქმედ არ უნდა ჩაითვალოსო.

**არეულობა ალბანიაში.**

ქალ. უსკუბიდან იუწყებიან, რომ ალბანელებს ჰკუაში მოსდით აბდულჰამიდის ტახტიდან ჩამოგდება, მაგრამ მათ ძლიერ სწყინთ, რომ იგი ძალით გაგზავნეს სალონიკში ხალიფად ნამყოფი, ალბანელების აზრით, უნდა ცხოვრობდეს სტამბოლის ერთ-ერთ სასახლეში ამის გამო ალბანიაში დაიწყო მოძრაობა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წინააღმდეგ.

ამბობენ, ერთი დიდი სახელმწიფო ძლიერა ცდილობს, რომ ალბანიაში დიდი არეულობა დაიწყოსო.

**ავსტრია ხელის მოთბობას აპირებს.**

გაზეთები იუწყებიან, რომ ავსტრიის ჯარი ჰყავს დამზადებული ოსმალეთის საზღვარზე და რაწამს მარჯვე წამი დადგება, ეს ჯარი ნოვობაზარის სანჯაყს დაიჭერსო.

**რუსეთსა და ინგლისს არ უნდათ ოსმალეთის საქმეებში ჩარევა.**

„რ. სლოვო“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რუსეთისა და ინგლისის მთავრობები ამ ჟამად ძლიერ წინააღმდეგნი არიან იმისი, რომ სახელმწიფოები აქტიურად ჩაერივნენ ოსმალეთის საქმეებში იმ უწესობის მოსასპობად, რომელიც ხდება მცირე აზიაში. ამბობენ, ასეთი თავდაჭერილობის მიზეზი ისაა, რომ რუსეთმა და ინგლისმა ამ ჟამად მთელი თავიანთი ყურადღება სპარსეთის დამშვიდებას მიაქციეს და არც აქვთ იმედი, რომ მალე მოახერხონ წესიერების დამყარება სპარსეთში.

**ოსმალეთის მთავრობის განცხადება.**

ოსმალეთის მთავრობამ გამოსცა ოფიციალური განცხადება, რომელშიაც სინანული გამოთქმული ადანასა და სხვა ქალაქებში მომხდარ ამბების გამო. დაზარალებულთა დასახმარებლად უკვე გაგზავნეს 30 ათასი გირვანქა; შეიხ-ულ-ისლამი და სომხის პატრიარქი ცდილობენ მუსულმანთა და სომხეთა მორიგებასო.

**სომხების აკლება ადანაში.**

ინგლისელი მისიონერი ჩემბერსი 18 აპრილის თარიღით ატყობინებს რეიტერის სააგენტოს მერსინიდან: სომხების საშინელი აკლება დაიწყო 1 აპრილს (ე. ი. კონტრ-რევოლიუციის პირველ დღეს), იგი რამდენადმე შესუსტდა აპრილს და შემდეგ მერსინას მიდამოებს მოედვა. მისიონერები უმთავრესად იმასა ცდილობენ, რომ თავშესაფარი ეშოვათ 15 ათას უსახლკაროდ დარჩენილისთვის, რომელთა შორის იყო 200 დაჭრილი. 12 აპრილს აკლება ისევ განახლდა, რეაქციონერ ჯარისკაცებმა და ბაშიბუზუყებმა თოფით დახვრიტეს სომხის სკოლა, რომელშიაც შეიკრიბა 2 ათასი სული. მერე სკოლას ცეცხლი წაუკიდეს და იქ მყოფთაგანი ბევრი ალში დაიღუპა. ამავე დროს აიკლეს ოთხი სომხის ეკლესია და ბევრი კერძო სახლი. ამკლებნი სძარცვავდნენ ქონებას, ხოლო რაც თან ვერ მიჰქონდათ, ცეცხლს უკიდებდნენ და სწვავდნენ. 13 აპრილს ინგლისის კონსულმა, რომელიც თითონაც დასჭრეს, დეპეშით აცნობა ოსმალეთის მთავრობას აქაური საშინელება. მისიონერთა დაწესებულებებში თავი მოიყარა 20 ათასმა სულმა. რადგან პური ცოტა იყო, ამიტომ დაიწყო შიმშილი. ყოველ დღე თითო სულს აძლევდნენ ნახევარ გირვანქა პურსა და გირვანქის მესამედს ბრინჯსა. მთავრობის მიერ გამოგზავნილი ფული არა კმარა. დამშეულთა გამოსაკვებად საჭიროა 250 გირვანქა სტერლინგი ყოველ დღე. აკლებაში ბეჯით როლს თამაშობდნენ ჯარისკაცები.

კონსულები ამტკიცებენ, რომ გენერალი უსუფი თითონ უქადაგებდა ჯარის კაცებს, სომხები აიკელითო. უსუფს სასჯელისა შეეშინდა და გაიქცა. მისი მოადგილე გენერალი ჯელალი სრულიად კანონიერიდ იქცევა. („რ.“)

---

# სპარსეთის ამბები

**რევოლიუციის გამარჯვება.**

სპარსელ რევოლიუციონერების თავ-განწირული, მედგარი, ხანგრძლივი ბრძოლა ლამის სრულის გამარჯვებით დასრულდეს.

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ თეირანიდან: სხვა და სხვა მხრიდან რევოლიუციონურ რაზმების სწრაფმა და მედგარმა გამოლაშქრებამ თეირანზე მთლად აურ-დაური რეაქციონერებს დავთრები. შეშინებულმა შაჰმა 27 აპრილს შეადგინა ახალი სამინისტრო, რომლის წევრად თითქმის ყველანი კონსტიტუციონალისტები მიიწვია, გამოსცა ახალი ბრძანება, რომელშიაც აცხადებს, რომ ამას იქით კონსტიტუცია შეურყეველი იქნებაო, და გამოაცხადა საყოველთაო პოლიტიკური ამნისტია. შაჰმა უბრძანა სახელმწიფო საბჭოს, დაუყოვნებლივ შეადგინოს ახალი საარჩევნო კანონი, რის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ყველგან დეპუტატების არჩევას. მეჯლისი შეიკრიბება წინანდელ შენობაში, როდესაც თეირანში თავს მოიყრის დეპუტატების ორი მესამედი. შაჰის ბძანებით უკვე შეუდგნენ დანგრეულ მეჯლისის განახლებას. ამ საქმისთვის საჭირო ხარჯი თითონ შაჰმა იკისრა. ამას გარდა შაჰმა უბძანა თავის სარდლებს, ეინუდდოვლესა და სხვებს, რომლებიც თავრიზის მიდამოებში დგანან, თქვენი ჯარი სახლებში დაითხოვეთო.

თეირანში ხალხი გახარებულია, ყველგან მიტინგები იმართება. რევოლიუციონერების ზოგიერთ მეთაურისგან მილოცვის დეპეშა მიიღეს.

ბახტიარების მეთაურებმა აცნობეს მთავრობას, თეირანზე გამოლაშქრებას შევაჩერებთ, მაგრამ იარაღს მაინც არ დავყრითო. ეხლა სათარხანის პასუხს ელიან. („ზ.“)

როგორც გუშინდელ დეპეშებიდან ჩანს, [illegible] მაინც არ [illegible] ლობენ, [illegible] ახლოვებული კაცი ჩააბაროს მათ, ან არა და თითონ შაჰი გადადგეს ტახტიდანაო.

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება: 24 აპრილს ღამით მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული კაზვინიდან მომავალ რევოლიუციონერებს და ბახტიარების ხანს სამსამურ-სალტანეს, რომელიც თეირანისკენ მოდის თავის რაზმით. რევოლიუციონერებმა გადასწყვიტეს, ყურადღებას ნუ მივაქცევთ შაჰის მანიფესტს, თეირანში ჩავიდეთ და კაჯართა დინასტია ჩამოვაგდოთ ტახტიდანაო.

სპარსელ რევოლიუციონერების მედგარი ბრძოლა უეჭველად დასრულდება სრულის გამარჯვებით, თუ რასაკვირველია უცხოელები არ შეუშლიან ხელს.

**კაზვინში.**

კაზვინელ რევოლიუციონერების რაზმს შეუერთდა 800 მშვენივრად შეიარაღებული ცხენოსანი ერთის მეომარ ტომისა, რომელიც ამ დღეებში მიემხრო რეშტის გუბერნატორს საპეხდარს.

კაზვინში რევოლიუციონერებმა 24 აპრილს ხელახლად დაატუსაღეს ადგილობრივი გუბერნატორი, რომელიც წინა დღეს გაანთავისუფლეს რუსის კონსულის მოთხოვნით.

გუბერნატორის სასახლეში რევოლიუციონერებმა დაიჭირეს ორგანიზატორი შაჰის ჯაშუშებისა, ყაზახთა ბრიგადიდან დათხოვნილი გენერალი ქასიმ-ალა. რევოლიუციონურმა სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ქასიმ-ალას და საჯაროდ თოფით დახვრეტინა იგი. (რ. ს.)

**შაჰის დეპეშა.**

შაჰი დეპეშით არწმუნებდა თურმე რეშტის გუბერნატორსა და კაზვინელ რევოლიუციონერების მეთაურს საპეხდარს, კონსტიტუცია ნამდვილად იქნება დაწესებული, და თუ არ გინდათ, რომ უცხოელები გაერივნენ ჩვენ საქმეში, კაზვინიდან უკან დაიხიეთო. სეპეხდარმა არად ჩააგდო შაჰის დეპეშა და თავის რაზმის ნაწილი მაინც გაგზავნა თეირანისკენ.

**ინგლისის პრესის აზრი სპარსეთის საქმეებზე.**

ინგლისის პრესა ეჭვის თვალითა და უნდოდ უცქერის რუსის ჯარის შესვლას სპარსეთში. ზოგიერთი ინგლისური გაზეთი ჰფიქრობს, რომ ინგლის-რუსეთის შეთანხმება უთუოდ დაირღვევა, თუ რუსის ჯარი დიდ ხანს დარჩება სპარსეთშიო. („რ. ვ.“)

გავლენიანი რადიკალური გაზ. „დეილი ნიუზ“-ი ჰფიქრობს, რომ რუსეთს სპარსეთში უთუოდ შეტაკება მოუვა ოსმალეთთანაო.

**ოსმალებმა ურმია დაიჭირეს.**

როგორც უკვე ვიცით, ქალ. ურმია ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა. ურმიაში თურმე ოსმალოს ორი ქვევითი პოლკი და ქურთის ერთი ცხენოსანი პოლკი შესულან. ენჯუმენი, რევოლიუციონერები და ქალაქის მცხოვრებნი სიხარულით მიჰგებებიან ოსმალოს ჯარსა. (ზ.)

**რეაქციონერების აგიტაცია.**

შაჰის ჯარისკაცებს შორის თავრიზის მიდამოებში გაჩნდნენ სხვა ტანისამოსში გადაცმულნი მოლები, რომლებიც აგიტაციას ეწევიან კონსტიტუციის წინააღმდეგ; ისინი არწმუნებენ ჯარისკაცებს, რომ ქრისტიანებმა განგებ მოიგონეს კონსტიტუცია; უნდათ, რომ სპარსეთი ჩაიგდონ ხელშიო. ალლაჰი (ღმერთი) სცნობს მხოლოდ შაჰსა და მის თანაშემწეებს. მეჯლისში ეხლა მოჰყვებიან სულ ურწმუნოები, რომლებსაც არა სწამთ მაჰმადი. შარიატის თანახმად, შაჰს არა აქვს ნება შესცვალოს ის ძალა უფლება, რომელიც მას მინიჭებული აქვს თვით ალლაჰისგანო.

თუმცა არა ერთხელ მოახდინეს განკარგულება, რომ ეს აგიტატორები დაეტუსაღებინათ და სამართალში მიეცათ, მაგრამ დღემდე არც ერთი მათგანი არ დაუჭერიათ, —მათ ჰმალავენ კონსტიტუციის მოძულე სარდლებისგან. ფანატიკოსი ჯარისკაცები სიამოვნებით ისმენენ ამ ქადაგებას.

ვინ იცის, იქნება უცხოელებიც უწყობდნენ ხელს შავრაზმელების ასეთს აგიტაციას.

---

პირდაპირა ვთქვათ, რომ სწორედ სიტუტუცე იყო გვარების შემოღება. ერთია მხოლოდ გვარების შემომღებისთვის საბოდიშო: რა იცოდა, თუ რუსეთში ასეთი დრო დადგებოდა, თორემ არა მგონი ამისთანა „თავხედობა“ ჩაედინა. ასეა თუ ისე, „შრომის მოყვარე“ სათათბირომ უნდა გამოისყიდოს თავისი ცოდვები და ეს საქმე მოაგვაროს.

* *
*

აჰ, ტყუილი იმედია: სადაც პურიშკევიჩია, იმ სათათბიროსგან რას უნდა ველოდეთ! გეგონებათ ეს დალოცვილი პურიშკევიჩი პიტერში საკანონმდებლოდ კი არ ჩავიდა, საგინებლად ან სინემატოგრაფების სარევიზიოდ. დღე ისე არ გავა თურმე, რომ პურიშკევიჩმა რომელსამე სინემატოგრაფში „სკანდალი“ არ მოახდინოს. ხმა დადის, პურიშკევიჩს განზრახვა აქვს, მთელი რუსეთი შემოიაროს სინემატოგრაფების დასათვალიერებლადაო. უნდა გაიგოს — პატრიოტულ სურათებს აჩვენებენ თუ არა. ისეთი შიშის ზარი დაუცია სინემატოგრაფის პატრონებისთვის ამ ამბავს, რომ ყველანი გაპარვას აპირობენ თურმე რუსეთიდან. ამას კიდევ არა უშავს რა, რომ მთელი პეტერბურგის ტრამვაიები გაფიცვას არ აპირებდნენ: სანამ ჩვენ ქალაქში პურიშკევიჩი თავის მეეტლით იქნება, არ შეგვიძლიან მუშაობაო. პურიშკევიჩს თავისზე უფრო ახირებული მეეტლე ჰყოლია თურმე: ეს დალოცვილი პირდაპირ ტრამვაის ლიანდაგზე ატარებს ეტლს და თუ ტრამვაი „დეპუტატ“ პურიშკევიჩის ეტლს დაეჯახა, ღმერთმა აგაცილოთ პურიშკევიჩის და იმის მეეტლის ცოფები. ერთის სიტყვით...

*
* *

აღარ შევაწუხებთ მკითხველო. გაგაცნობთ მხოლოდ მენშიკოვის ერთ პროექტს. თურმე ნუ იტყვით, მენშიკოვს ერთი „დიდებული“ აზრი მოსვლია თავში. განუზრახავს პოლონეთის გაყიდვა. ამ „საქონლის“ მყიდველად გერმანიას ასახელებს. საქონელი არც თუ ისე ძვირფასია, რაღაც 8,000,000,000 მანეთი ღირს. უნდა კაცმა სიმართლე სთქვას, პირველი აზრი პოლონეთის გაყიდვის შესახებ მენშიკოვს კი არა გაზეთ „როსიას“ ეკუთვნის. იმ გაზეთს, რომელიც, ბევრის აზრით მთავრობის ოფიციოზური გაზეთია და ხაზინის ფულით იბეჭდება, თუმცა თითონ მთავრობა ამბობს—კერძო გამოცემააო. მენშიკოვი იმდენად გატაცებულია, რომ კიდეც გამოუანგარიშნია, რაში მოახმაროს ეს ფული რუსეთს. უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო ვალის გადახდაა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არა ჰყოფნის. რაკი ესეა საქმე მას ასე გაუნაწილებია ფული: ოთხი მილიარდი მანეთი სახელმწიფო ვალში (დანარჩენ ვალს ალბად „სხვა რამის“ გაყიდვით გაისტუმრებს), ოთხი მილიარდიც ჯარის გაძლიერებას უნდა მოხმარდეს. ხალხის განათლება საჭირო არ არის, ისედაც განათლებულია. ესეც არ იყოს, რაკი ჯარი გაძლიერდება, გერმანიას ისევ უკან წაართმევს პოლონეთს. ჭკვიანი კაცი კია მენშიკოვი: რვა მილიარდ მანეთსაც იშოვნის და პოლონეთსაც დაიბრუნებს. ეჰ! დიდი ხანია საგიჟეთით სწუხს მენშიკოვისათვის, მაგრამ არ იქმნა და არ ეღირსა მის ნახვას...

**მ. ხ—ლი.**

## სურათების გამოფენა

6 მაისს კავკასიელ მხატვართა საზოგადოების სკოლის შენობაში (გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი) გაიხსნება საინტერესო სამხატვრო გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ რუსეთის ცნობილი მხატვრები დ. პასტერნაკი, ა. ვასნეცოვი, ს. ივანოვი, ა. არხიპოვი, ს. ჟუკოვსკი, სტეპანოვი, კ. კოროვინი, მ. დარიონოვი და სხვანი. ხსენებულ გამოფენის სურათებიდან დიდი უმრავლესობა წამოღებულია მოსკოვის სხვა და სხვა გამოფენებიდან. არის სურათები „რუსეთის მხატვართა კავშირის“, „მოსკოვის მხატვართა ამხანაგობისა“, „Золотое руно“-ს და სხვა გამოფენებიდან, აგრეთვე „სალონი“-ს გამოფენის სურათები. დასახელებულ მხატვართა ნაწარმოებებს გარდა გამოფენილი იქნება ცნობილ მხატვრის იუონის სურათები, რომელიც საზღვარ-გარეთის გამოფენებზე ყოფილა, როგორც მაგალითად პრაგასა, ვენასა, ვენეციასა, პარიზსა და სხვაგან...

ამ გამოფენას მართავენი ჩვენი თანამემამულენი, ახალგაზდა მხატვარნი, მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლის მოწაფენი გრ. მესხი, ალ. ციმაკურიძე, დ. არაქელიანი. ამათ მიანდეს მხატვრებმა გამოფენის მოწყობა. სხვათა შორის, ამ ახალგაზდა მხატვრების სურათებიც იქნება გამოფენილი.

გამოფენა მითია კიდევ საინტერესო, რომ იგი შეიცავს როგორც რეალისტურ სკოლისა, ისე მოდერნისტულ მიმართულების ნაწარმოებებს. კ—ი.

## თეატრი და ხელოვნება

**ბაქო.** კვირას, 26 აპრილს, გაიმართა საბენეფისო წარმოდგენა სცენის მოყვარისა და რეჟისორის დავით შველიძის პატივსაცემლად. სწორედ ამ დღეს შესრულდა 15 წელიწადი, რაც შველიძე უანგაროდ და დაუღალავად ემსახურება ქართულ სახალხო სცენას (იხ. „დროება“ № 90). საზოგადოება ბლომად დაესწრო და გულწრფელი თანაგრძნობაც გამოუცხადა.

საღამო დაიწყო მობენეფისის 15 წლის სცენაზე მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვის წაკითხვით. შემდეგ წარმოდგენილ იქმნა ცაგარლის კომედია „ხანუმა“. მობენეფისე ტერტერაანთ აკოფას როლში ძალიან კარგი იყო. მან ნათლად დაგვიმტკიცა, რომ შრომასა და საქმისადმი სიყვარულს შეუძლიან გადალახოს ყოველივე დაბრკოლება. შემდეგ გაიმართა მილოცვა. დიდის აღტაცებით და ტაშისცემით მიეგება საზოგადოება, როდესაც მობენეფისე გამოჩნდა სცენაზე მიართვეს გვირგვინი. სიტყვებით მიმართეს და საჩუქრები მიართვეს წერა-კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილების წარმომადგენელმა, ამხანაგებმა, სხვა და სხვა სცენის მოყვარეთა ჯგუფებმა და კერძო პირებმა. შემდეგ წაკითხულ იქმნა პროვინციებიდან მოსული დეპეშები.

დასასრულს წარმოადგინეს გუნიას კომედია „დედის ერთა“. აქაც მშვენივრად შეასრულა მობენეფისემ ითამის როლი. გ. ალელი.

—

**ჭიათურა.** ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების სცენის მოყვარეთა ჯგუფმა 25 და 26 აპრილს გამართა წარმოდგენა გოგოლის პატივსაცემლად. ითამაშეს ცნობილი კომედია „რევიზორი“. 25 აპრილს დღისით გაიმართა უფასო წარმოდგენა განსაკუთრებით მოსწავლეთათვის. დაესწრნენ ადგილობრივ ქალთა და ვაჟთა სასწავლებლების მოსწავლენი. ჩამოვიდნენ აგრეთვე საჩხერის სკოლის მოსწავლენი მასწავლებელთა თანხლებით.

მეორე დღეს ითამაშეს საზოგადოებისათვის. ტანისამოსი დაბარებული ჰქონდათ ტფილისიდან. ადრაც გოგოლის პატივსცემამ დააჩქარებინათ ეხლა „რევიზორის“ დადგმა, თორემ სხვა დროსაც ჰქონიათ განზრახვა ეჩვენებინათ ეს კომედია ადგილობრივი საზოგადოებისათვის, მაგრამ აქამდე ვერ მოეხერხებინათ ეხლა აქაურ მასწავლებელთა მონაწილეობით დასძლიეს სცენის-მოყვარეთ უოველ დაბრკოლებას და აჩვენეს საზოგადოებას ეს უკვდავი კომედია.

მთავარი როლი კომედიაში დაეკისრებიათ გომელაურისათვის და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მან იგი პირნათლად შეასრულა. კარგი იყო განსაკუთრებით გოროდნიჩი — გომელაური ცრუ რევიზორთან წამდგარი: მშვენივრად დაახასიათა „ცოდვილ“ მოხელის აღარაობა უფროსის წინაშე. მხოლოდ პირველ მოქმედებაში, სადაც იგი უამბობს ქალაქის მოხელეებს რევიზორის მოსვლის შესახებ გოროდნიჩს არ ეტყობოდა საკმაო მღელვარება, შიში იმ განსაცდელის გამო, რომელსაც ის მოელოდა რევიზორის მოსვლით. დანარჩენ მოქმედებებში და, განსაკუთრებით მეხუთეში გომელაური კარგი გოროდნიჩი იყო.

გოროდნიჩს ღირსეულად უჭერდნენ მხარს დანარჩენი მოთამაშენი, მხოლოდ გვგონებოდა, რომ მითაიშვილი (ხლესტაკოვის როლში) რაღაც უხერხულად ჰგრძნობს თავს მაბეზღარ, პირში მემუურე, გაიძვერა მოხელის დახასიათების დროს, როცა იგი წარსდგა რევიზორის წინაშე. ხლესტაკოვი მეტად ძნელი და რთული ტიპია აღსასრულებლად, მაგრამ ვარაზაშვილმა მაინც სძლია ეს სიძნელე და საკმაოდ ნათლად დაგვიხატა ქარაფშუტა, მხოლოდ ოდნავ მოსაზრებიანი და მოხერხებული გაიძვერა. კარგი იყო ოსიპის როლში ბ. ტარუაშვილი, მაგრამ მან მთელი სისრულით და სინამდვილით ვერ წარმოგვიდგინა ჭკვიანი და მოსაზრებიანი ყმა. საუცხოვო იყო ბობჩინსკის როლში ნუცუბიძე, კარგი იყო აგრეთვე დობჩინსკი—ხურომე. კარგები იყვნენ გოროდნიჩის ცოლისა და ქალის როლებში ქ-ნნი წერეთელი და ანთელიძე. დანარჩენები, როგორც ზევითა ვთქვი, ანსამბლს ხელს უწყობდნენ. საზოგადოდ კომედიამ კარგად ჩაიარა. ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა.

სასურველია, მოსწავლეთათვის ხშირად დაიდგას შესაფერი პიესები. დამსწრე.

## შემოწირულება

**წერა-კითხვის საზოგადოებამ მიიღო ლატარიისთვის:**

ლაშხიანცისაგან—6 ცხვირსახოცი; სანდრო ანტონოვისგან—4 ც. ცხვირსახოცი; სუნდუკიანისგან—1 სალფეთქი; მეტრეველისგან—2 ც. ცხვირსახოცი; დავდაბეროვისგან—1 საყელო; ძმ. ტერტეროვისგან—2 ყუთი პუდრი და 1 დ. საპონი; ჯავახოვიჯან—11 არშ. ქისეა; გოხალოვისგან—1 დედოფალა; ა. ს. პოლოსოვისგან—1/2 დ. წინსაფარი; ძმ. როზოვებისგან—თავსაფარი; არშაკ აკოფოვისგან—1 ბალიში; მარტიროსოვისგან—2 ბეჭედი (დ. 1 მ); ბერიძისგან—რიდიკული, სარკე, ბროშკები და სხვ.; მახ. ფარსადანოვისგან—5 მ., ცეიტლინის მაღაზიიდან—7 ნივთი; ნინო ნაცვალიშვილისგან—1 მ., ნინო მოსიტაშვილისაგან—1 მან, გოგი ყარანგოზიშვილისგან—50 კ.; ნიკანდრ ვოგიტიძესგან—1 მან., Jane Noorugsგან 2 მ.; ანდრონიკაშვილისგან—1 მ.; ჩ. ვაჩნაძესგან—1 მ.; გ. გვაზავასგან—1 მ., პ. მელისგან—50 კ.; არტემ ისააკისძე როკოშოკისგან—1 შალი; ძმ. ზუბიანებისგან—1 ბალდული; ძმ. მაგაკოვებისგან—1 რიდიკული; ევანგულოვებისგან—1 დ. ფოლაქები; ს. ს. ტერ-ფიროშოვებისგან—1 დ. საპონი; ბავდადაშვილისგან—10 დ. ფულაქი; ნ. ამირაღოვისგან—2 ც. კრუჟევო; 8. მ. მარტიანცისგან—3 ცალიერ; ტერ-პეტროსოვისაგან—1 დ. ცხვირსახოცი. კნ. ე. ი. რატიშვილისაგან—9 სხვა და სხვა ნივთი, საპარიზის ფეხსაცმლის მაღაზიიდან—1 შუშა მაზი; ნ. გ. რუსიევისაგან—10 ბ. ღვინო, რადიონ ადაზნისგან 10 ბ. ღვინო, ტერ-არუთინოვისა და მაყაშვილისგან 3 ბოთლი; „საერო“-საგან—20 ბოთლი. „ძმობისგან“—25 ბოთლი; „ჩაიდურისგან“—25 ბოთლი, ფ. ნ. ბელიძისგან—1 ბოთლი პორტვეინი; №№-სგან—10 ბ, გ. ა. ანდრონიკაშვილის საწყობიდან—15 ბოთლი, „ივერიის“ საწყობიდან—10 ბოთლი, ჩოლოყაშვილისგან—10 ბ., „კახეთის“ საზოგადოებისგან—40 ბ., ზარნაძესგან—85 ბ., მელქო-ბერინოვ-ვახილისგან—5 ბოთლი, ლეხისკილაშვილისაგან—12 საყელო; საიმაშვილისგან—1 დ. საპონი; ბენიაშვილისგან—ბავშვის ჩულქები; ანუროვისგან—სანდალიები; ხახუტოვისგან—საბავშვო სათამაშოები; აზიროვისგან—იგივე; ბერიძისგან—1 ც. ცხვირსახოცი; ონაშვილისგან—დოქი, მაძმიშვილისგან—ჩულქები; თითბერიძისგან—ვაზა; ნოზაძესგან—2 ს.გულე; ჭრელაშვილის შუშის საწყობისგან—1/8 საჟ. შუშა წიფლისა; ა. ჯანაშიასგან—1 ც. „კრუჟევა“ ხელით ნაქსოვი; რაჟდენ ჯაფარიძის საწყობიდან—1/8 საჟ. შუშა წიფლისა; დ. დოდაშვილისგან—1/2 დ. ხელის საპონი, 100 კონვერტი და 100 ფურცელი ქაღალდი; სარქის ამირბეგოვისა და ამხანაგობისგან—8 ბ. ღვინო, ვალ. ასათიანისაგან — ერთი ბროლის ვაზა; სიმ. მჭედლიძისგან—1 გირ. ჩაი, გეურქოვისგან—საპონი, სათამაშო კვერცხები, შოკოლადი და სხვა; გიორგი ქუჩინაძისგან 10 ბ. ღვინო და 4 ბ. ტკბილი სასმელ; სვ. გ. დოდაშვილისგან—1 ვედრა „მომპანსიე“; თედო ქუჩუნაშვილისგან—ხუთი ბოთლი; იოსებ თურქისგან—10 ბ. ღვინო; იოსებ მათაშვილისაგან—5 ბ. ღვინო, ქ. ვეფხვაძესგან—2 ც. მოსკოვის კალბასი; თოიძისგან—6 გილზი, 3 მარმელადი; სესიაშვილი და ამხ. სავაჭრო სახლისგან—15 ბ. მაგარი სასმელი; თ. განჯუმიანისგან—1 ყუთი კონფექტი; გიორგი გამდლიშვილისგან—15 ბ. ლიმონადი; რატიაშვილისგან—5 ბ. ღვინო; იაკ. ხიზანიშვილისგან—8 ფლაკონი „დუხი“; 6 ც. იაპონური საპონი; იაკუბოვიჩისგან—კოსმეტიკა.

## რუსეთი

**რევიზია.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ ამ მოკლე ხანში რევიზიას გაუკეთებენ პეტერბურგის საგრადონაჩალნიკო კასსას. რევიზორათ დაინიშნება სენატორი გარინი. რევიზია პირველ ივნის დაიწყება და რამდენიმე თვეს გასტანს.

**სამინისტრო.** „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით აცხადებენ: „პრემიერ-მინისტრი სტოლიპინის კაბინეტიდან გასვლა აუცილებელია მართალია მან უმაღლესი რესკრიპტი მიიღო, მაგრამ ამით მისი გასვლა სხვა დროსთვის გადაიდო. დღეს, 28 აპრილს ელიან ყოფილ პრემიერის გორემიკინის ჩამოსვლას. ამ ჟამად გორემიკინი საზღვარ-გარეთ იმყოფება. იმ შემთხვევაში თუ სტოლიპინი პრემიერობას თავს მიანებებს, ენლანდელი სამინისტრო დარჩება, მხოლოდ კაბინეტიდან გავლენ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ტიმირიაზევი და სახელმწიფო კონტროლიორი ხარიტონოვი“.

**ახალი პარტია.** რუსეთის გაზეთების სიტყვით მემარჯვენე ოქტომბრისტებს გადაუწყვეტიათ ოქტომბრისტების ფრაქციიდან გასვლა და ახალი პარტიის დაარსება. მათ ხუთი ზომიერი მემარჯვენეები მიიმხრონ და მათთან ერთად დაარსონ ახალი პარტია. პარტია მთავრობას პოლიტიკის მტკიცე იქნება.

**სტოლიპინის კანდიდატი.** „რეჩის“ სიტყვით სტოლიპინის მოადგილეთ ასახელებენ მემარჯვენეების ლიდერს, ტავრიდის ყოფილ გუბერნატორ ტრეპოვს. ტრეპოვი ამ ჟამათ სახელმწიფო საბჭოს წევრია.

**„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს დაუდგენია, მისთხოვოს დუბროვინს, რომ იგი ფინლიანდიის სასამართლოში გამოცხადდეს და დაამტკიცოს, რომ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ არ მოუკლავს გერცენშტეინი, იმ შემთხვევაში თუ დუბროვინი უარს იტყვის, ზასამართლოში ვერ წავალო, იგი „კავშირიდან“ უნდა გავიდეს. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ბევრი ცნობილი წევრი „კავშირიდან“ გასულა. მიზეზი—გერცენშტეინის მკვლელობაა.

**პოლიციის აგენტის დაჭერა პარიზში.** ამ რამდენიმე დღის წინეთ „რეჩს“ პარიზიდან აცნობებენ, რომ ინჟენერმა რიპსმა სასტუმროში დაჭრა პოლკოვნიკი ფონ-კოტენი. ფონ-კოტენი რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტი ყოფილა. რიპსი გაიქცა. მან თავის ამხანაგისთვის გადაეცია დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს თუ რაში მიდიოდა რიპსთან პოლკოვნიკი ფონ-კოტენი. ამბობენ, რომ ფონ-კოტენმა სთხოვა რიპს, რევოლიუციონერები და მათი განზრახვანი გაეცნო. ამის შესახებ „ბაქოს“ პარიზიდან აცნობებენ: „რიპსის ვქილს აზრათ აქვს ყველაფერი გამოამჟღავნოს. ელიან დიდ პროცესს. მოწმეებს რუსეთიდანაც დაიბარებენ“.

**სტოლიპინი და იალტის „ჭეშმარიტი რუსები“.** გაზეთ «მოსკოვსკი ლისტოკი» იალტიდან აცნობებენ: პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის იალტიდან წამოსვლის დროს, სადგურზე დაუხვდნენ «ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» წევრები. ადგილობრივ «კავშირის» თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა სტოლიპინს. სტოლიპინმა «კავშირის» წევრებს, სხვათა შორის, უთხრა: «მშვიდობიანათ იცხოვრეთ. არეულობას ნუ მოახდენთ და პოლიტიკას თავი დაანებეთ“. ამბობენ, რომ „ჭეშმარიტი რუსები“ ვერ დააკმაყოფილა სტოლიპინის სიტყვამ.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 1, კიევში 2, ხარბინში 1, ვლადივოსტოკში 2, ვარშავაში 1, პეტერბურგში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ოდესაში 2, უფაში 3, იურიევში 1, მოსკოვში 1, ვარშავაში 1, კამენეც-პოდოლსკში 1 კაცი.

**ტურუხანის მხარეში.** გაზ. „რეჩში“ ტურუხანის მხარიდან შემდეგი კორესპონდენციაა დაბეჭდილი:... ჩვენ ენისეისკიდან გავემგზავრენით. რაც ჩვენ გზაში ვნახეთ ქრუანტელს მოჰგვრის კაცს. საშინელებამ რა არის ტურუხანის მხარე! მართლაც რაღაც საშინელი სატიკი უნდა იყოთ, რომ ამ მხარეში ხალხი გადმოასახლოთ. აქ გადმოსახლება სიკვდილით დასჯა უდრის მხოლოდ იმ გარჩევით, რომ როდესაც სიკვდილით გსჯიან, უცბათ ესალმებით წუთისოფელს, აქ კი წლობით გმუსრავენ სიკვდილით დასჯა. ასე გასინჯეთ თვით ადგილობრივი მცხოვრებნიც კი სწყევლიან ამ ადგილს. ეს მხარე ხალხისგან და ღმერთისგან დავიწყებულია. ცოტა რამ ადგილობრივ მცხოვრებთა ცხოვრებიდან. სოფელ დუდანსკის ახლო რაღაც არა ჩვეულებრივ ქოხებს წავაწყდით. შევედით შიგ და კინაღამ გული შეგვიწუხდა. გულის შეწუხებას ვინა სჩიოდა რაღაც საშინელება წარმოგვიდგა თვალწინ. ყინვისაგან გაყინულ ოთახში 5 კაცი იწვა. ყველანი ყვავილით იყვნენ ავად. მათ რაღაც ჭუჭყიანი, ჩირქისაგან გასვრილი ფლასები ეხურათ. მათთვის არც ჭამა, არც სმა, არც არავინ მომვლელი. ავადმყოფების პირის სახე—ცარიელი ჩირქია. ავადმყოფების გვერდზე სამი გარდაცვალებულის გვამი იყო. დამმარხველი არავინ არის. საშინლად გახრწნილიყვნენ. მუხლები სადღაც წასულიყვნენ, მღმერებულნენ. ავადმყოფებმა წყალი გვითხრეს. მეორე ადგილას უფრო საშინელი სურათი ვნახეთ. განმარტოებულად დანგრეული ქოხი იდგა. შევედით შიგ და ყველამ უკან დავიხიეთ. ქოხში ცხრა გარდაცვალებულის გვამები ეყარა. საშინელი სუნი იდგა. ეტყობოდათ, რომ ყვავილით დაიხოცნენ. სახეები აღარ ეტყობოდათ, სულ ჩირქისაგან იყო დაფარული, თითქმის სულ გახრწნილები იყვნენ და პატრონი კი არავინ იყო. ქოხის გარშემო დახოცილი ირმები ეყარნენ. ესენიც გახრწნილიყვნენ. ბევრი ამისთანა გულისამღვრევი სურათი ვნახეთ. ყვავილით მთელი სოფლებია ავად, ისე იხოცებიან, როგორც ბუზები“. ეს კორესპონდენცია პოლიტიკურ გადასახლებულებს ეკუთვნით. კორესპონდენციის ბოლოს ესენი დასძენენ: ჩვენ ავაზაკებათ გვთვლიან, ჩვენზე არაფერსა ფიქრობენ, კიდეც რო თავი ზოგნეთ, ადმინისტრაცია არაფერს ინაღვლის. დავანებოთ ამას თავი, ჩვენ ხომ ავაზაკები ვართ და როგორც ასეთები მეტის ღირსნიც არა ვართ. მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა რაღა დააშავეს? რით უნდა აიხსნას ეს გულცივობა, ღვთის ანაბარათ დაყრა საწყალი სამღვდელოებისა? იმიტომ ხომ არა, რომ სამღვდელოები „ინოროდცები“ არიან და მათზე ზრუნვა «ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» პროგრამაში არ შედის?

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, სიმართლის აღსადგენად, მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

გაზეთის „ივერიის“ მე-17 ნომერში წაიკითხე ვინმე აქაურის წერილი სათაურით „ნეტავი ქორი გამოდგეს?“ წერილის ავტორი შეეხება უმაღლესად ბოძებულ ფულს და კითხულობს: „სად არის ეს ფული? ნუ თუ მართლა ეს ფული დეპუტატთა საკრებულოში თავის თავად დაილიაო!“ სამწუხაროა, როდესაც პატივცემულ გაზეთის რედაქცია აქვეყნებს იმგვარ ცნობებს, რომელიც მოკლებულია ყოველს ვე სიმართლეს და ამით ხელს უწყობს სხვა და სხვა თვზე ხელ-აღებულ პირთ, უღვიძებს მათ ბინძურს და გათახსირებულ გრძნობებს და, სულ რომ ცოტა ვთქვათ, უმართებულოდ ამოქმედებს მათ. გაზეთის რედაქცია, რომელსაც თავისი თავი ხალხის აღმზრდელად მიაჩნია, ფრთხილი უნდა იყოს, რომ არ გამოაქვეყნოს დაუჯერებელი ცნობები, უნდა შეეკითხოს იმ დაწესებულებას, რომელსაც ეს ცნობები შეეხება, და რომელიც „ივერიის“ რედაქციას ეროვნულ დაწესებულებად მიაჩნია.

„ივერიის“ რედაქცია რომ ასე მოქცეულიყო, ადვილად გაიგებდა, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობას უმაღლესად ნაბოძებ ფულიდან მიუღია წრევანდლამდის სულ ას ოცი ათასი მანეთი. თავად-აზნაურობის გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც ნამესტნიკის მიერ არის დამტკიცებული, ოცი ათასი მანეთი დარიგდა სტიპენდიებად 1908 წელს, ხოლო ასი ათასი მანეთი დანიშნული იყო თავად-აზნაურობის მამულის შესაძენად და ამ მამულზე სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობის ასაგებად. თავად-აზნაურობამ შეიძინა სილაზე, თეთრ ხიდთან, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, ოთხი ათას ოცდა ექვსი ოთხკუთხი საჟენი მიწა და ზედ მდგარი ერთი ქვის სახლი და მეორე ხისა. ამაზე დაიხარჯა ორმოცდა ორი ათას შვიდას ოცდა რვა მანეთი და 85 კაპ. შემოავლო ამ ეზოს ქვის გალავანი, ერთი სახლი მეორე ადგილზე გადაიტანა და მეორე გადააკეთა, რაზედაც დაიხარჯა ექვსი ათას ცხრაას ორმოცდა თექვსმეტი მანეთი და 21 კაპ. მერე შეუდგა თავად-აზნაურობის ახალ შენობის აგებას. აქამდის ამ შენობაზე დახარჯულია ორმოცდა შვიდი ათას ოთხას ჩვიდმეტი მანეთი და დანარჩენი შენახულია სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში.

კარგი იქნებოდა, რომ ვისაც საზოგადო საქმეზე გული შესტკივა, ჭორების გავრცელებაზე ხელი აეღო და მობრძანებულიყო დეპუტატთა საკრებულოში, სადაც იგი მიიღებდა ცნობებს უმაღლესად ნაბოძები ფულის შესახებ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი სვიმონ დავითის ძე წერეთელი.**

## განცხადებანი


ტფილისის სათ. აზნაურთ. სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი

**კომიტეტი**

ამით აუწყებს ბ-ნ რწმუნებულთ, რომ 1909 წლის 23 მაისისთვის დანიშნულ ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებაზე **მოხდება არჩევნები** ამ ბანკის გამგეობის წევრისა, ნაცვლად 21 აპრილს გარდაცვლილ ვ. ა. სულხანიშვილის. (3—უ.—3)

**ექიმი** მ. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, ხამარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ... ყოველ დღე დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—49)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ, საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—77)

**გაფრთ ხილება**

**დ. ზ. სარაჯიშვილისა**

**კ ა ნ ტ ო რ ა**

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი.**

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწა**[illegible] ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდ [illegible] **სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებით და [illegible] და ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ [illegible] შეცდომაში შეიყვანონ პ-ნნი [illegible]

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ.** [illegible] ლის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწ[illegible]

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარ[illegible] ა მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, [illegible] ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილ[illegible] და საქარხნო მარკა „**ჯიხვი კლდეზე**“. (20—234—1)

**საგარეჯოს-თხინვალის ადგილების მყიდველის საყურადღებოდ**

ამ წლის 27 აპრილს გაუთავდა ვადა ბ-ნთ მაჭავარიანსა და გელოვანს, რომელნიც ჰყიდნენ ამ ადგილებს. ახლა მამულის პატრონნი ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ამ ადგილების მყიდველთ უნდა მიმართონ ჩვენ რწმუნებულს დავით წულუკიძეს (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურობის ქარვასლა, № 153).

**გიორგი ხიმშიაშვილი.**

**ოპეკუნი მ. დიასამიძე.**

(3—233—2)

**დაიბეჭდა და დარიგდა საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში**

**ახალი არსენას ლექსი.**

ეს გამოცემა შევსებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწვრილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.

წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეთ კანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ოთხი ფერით. წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდავებს % მორიგებით. ადრესი ტფილისი, სტ. „სორაპანი“. (10—6.—6)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ/ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—32)


სტამბა „სინათლე“, დვ. კაქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**